# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 25 ივნისი 2008 №144 (3368) ფასი 50 თეთრი




**ცობელის თბილისი დიღომია**

ინტერვიუ დინამოს მწვრთნელთან

8



**კალდერ-ომი დასრულდა!**

რეალს რონალდუში 80 მილიონი ებევრება

4

**საქართველოს ნამუ და რიგი დაუდგა**

მორაგბეებს ტონგელიც გაწვრთნის

12

# ვინ იზეიმებს გერმანიაში და არ დაიდარდო თურქულად

## თურქებმა თუ მოიგეს, რაღა სტამბოლი და რაღა ბერლინი

11 კაციც რომ დავრჩეთ, არ ვიდარდებთ. თასისკენ გზას მაინც ვერავინ გადაგვილობავს — ასე იმუქრება დღევანდელი ნახევარფინალის წინ თურქი მცველი გიოქჰან ზანი. გეცოდინებათ, რომ თურქები, სათადარიგო მეკარის ჩათვლით, თოთხმეტნი არიან დარჩენილები — ცხადია, ჯანმრთელ და თამაშის უფლების მქონე ფეხბურთელებს ვგულისხმობთ. არადა, როგორია: თურქეთმა ისტორიას მიუკაკუნა, რაკი პირველად აქვს ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლის შანსი. ეს ის ფინალია, რომელიც გერმანიას სამჯერ აქვს მოგებული.

მიხაელ ბალაკი კი ამბობს, თურქებმა აქამდე ისე იბრძოლეს და ისე შემოაბრუნეს სამი მატჩი, როგორც ამას გერმანია აკეთებდა ხოლმეო.

ხოლო იოახიმ ლიოვმა დაიჩივლა, ჩემთვის პორტუგალიის ნაკრების გაშიფრვა უფრო იოლი იყო, თურქი ფეხბურთელებიდან კი ვინ როდის რას იზამს, ვერ ივარაუდებო.

იმის მტკიცება კი ახლავე შეგვიძლია, რომ დღეს საღამოს გერმანიაში უეჭველად იზეიმებენ, ოღონდ ვინ, საკითხავი, აი, ეს არის: ამ ქვეყანაში ხომ ორი მილიონი თურქი ცხოვრობს.

ისიც ვთქვათ, რომ თურქები და გერმანელები ერთმანეთს 17-ჯერ შეხვედრიან. 11 მატჩი გერმანიამ მოიგო, სამჯერ თურქებმა და სამიც ფრედ დასრულდა.

ოღონდ ისიც არის, რომ ბუნდესნაკრებმა ბოლოს 16 წლის წინ გელზენკირხენში, ამხანაგურ მატჩში დაამარცხა თურქეთი.







## ყველაზე დიდი გერმანელი: თურქეთი ლამის გერმანიაა

# ცობელის თბილისი დიღომია

## დინამოსი სხვებს ეშინოდეთ

თბილისის „დინამოს“ ახალი მწვრთნელი რაინერ ცობელი ორი კვირაა, საქმეს შეუდგა და ვინაიდან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე არც ისე დიდი დრო რჩება, გუნდის მზადებაც, ცოტა არ იყოს, ფორსირებული მეთოდით უხდება.
ცობელის ხელმძღვანელობით დინამოელებმა ერთხელ ერთმანეთშიც ითამაშეს და მწვრთნელმა ფეხბურთელებზე მცირე წარმოდგენა შეიქმნა. ხვალ კი თბილისელები მოსკოვს გაემგზავრებიან, ზეგ მოსკოვის „დინამოს“ გაეჯიბრებიან, ხოლო შაბათს გერმანიაში იენის მახლობლად ბადბლანკენბურგისკენ აიბარგებიან, სადაც 11 ივნისამდე დაჰყოფენ და ევრომეტოქის ვინაობას იქვე შეიტყობენ — ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის კენჭისყრა 1 ივლისს შედგება. შეკრებაზე „დინამო“ ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს — იენის „კარლ ცაისთან“, აუე-სთან, „პადერბორნთან“ და კიდევ ორ ქვედალიგელთან.
ცობელი მოსკოვში თუ ბადბლანკენბურგში წასაყვან ფეხბურთელთა სიას დღეს გამოამზეურებს, იქამდე კი შევიტყვეთ, რომ გუნდს დაშორდა ბოსნიელი მცველი ამირ რეკიჩი, მას ენტეროვირუსი შეჰყრია და თბილისში ჩამოსულს ხეირიანად არც უვარჯიშია. სხვა ლეგიონერები დინამოელებს გერმანიაში ჩააკითხავენ და იქ ეცდებიან ცობელისთვის თავის მოწონებას.
რა და როგორ არის სადღეისოდ „დინამოში“, რას ველოდოთ, როგორაა ორი კვირის ჩამოსული რაინერ ცობელის პირველი შთაბეჭდილება თავის ახალ გუნდზე და რა ფინალს ელის ამ ევროჩემპიონატისგან თბილისელთა მწვრთნელი — ამ კითხვებზე ცობელმა გუშინ გვიპასუხა...



[illegible] ფოტო

— ძალიან კმაყოფილი ვარ, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, რაც მომავალი სეზონის წინ ოპტიმისტურ განწყობას მიქმნის — გვითხრა „დინამოს“ მწვრთნელმა — ვერც ერთ ფეხბურთელს ვერ გამოვარჩევ, ყველა ხალისიანადაა და მონდომებით ვარჯიშობს. მადლობა მათ და იმედი მაქვს, მომავალშიც ასევე გააგრძელებენ. ბიჭებს შემართება ეტყობათ, ეს კი ახალი სეზონის წინ ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— თუმცა, დაგვეთანხმებით, მხოლოდ შემართებით ფონს ვერ გახვალთ. ამჟამად კონკრეტულად რა მიმართულებით ავარჯიშებთ ფეხბურთელებს?

— კომპლექსური ვარჯიშები გვაქვს, ტაქტიკა-ტექნიკურ მეცადინეობებს ფიზიკურ დატვირთვებს ვუნაცვლებთ, ფეხბურთელებს ფუნქციონალურად ვამზადებთ... როგორც გითხარით, ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის შესაბამისად მიდის და გუნდს ყოველდღიურ პროგრესს ვატყობ.

— მოსამზადებელ პერიოდში ალბათ გაძლიერებაზეც ფიქრობთ...

— ცხადია, არც ჩვენ ვართ გამონაკლისები და გაძლიერება არ გვაწყენდა. რამდენიმე დღის წინ ბოსნიელი ფეხბურთელიც ჩამოვიდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო მალევე შინ გაბრუნდა. მის გარდა „დინამოში“ სხვა ფეხბურთელებიც ვარჯიშობენ, დავაკვირდებით და მერე გადავწყვეტთ, ავიყვანთ თუ არა მათ გუნდში.

— შესაძლო ახალწვეულთა ვინაობას ვერ გაგვიმხელთ?

— ჯერჯერობით თავს შევიკავებ, რადგან ეს არაკორექტული იქნება. გადავწყვეტთ მათ საკითხს და მერე სალაპარაკოც მეტი გვექნება. ისე კი, ახლა გერმანული შეკრებისთვის ვემზადებით, რამდენიმე ფეხბურთელს მივიღებთ და შეიძლება, თბილისში ის ფეხბურთელებიც წამოვიყვანოთ.

— ფეხბურთელების გვარების გარდა კი გერმანიაში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მეტოქესაც შეიტყობთ. შესაძლო მეტოქეები უკვე ცნობილია, რომელს ისურვებთ?

— პირველ მეტოქეზე ფიქრით თავს არ ვილლი. რა მნიშვნელობა აქვს, ვის შევხვდებით, მთავარია, „დინამომ“ ისეთივე შემართებით ითამაშოს, როგორც ახლა ვარჯიშებზე ვხედავ. ფიქრით კი სხვებმა იფიქრონ, რადგანაც მათი შესაძლო მეტოქე შეიძლება „დინამო“ იყოს, ყველასთვის სახელოვანი და ავტორიტეტული გუნდი.

— უკვე ორი კვირაა, თბილისში ხართ. დაათვალიერეთ ქალაქი?

— არა, რას ამბობთ, წუთი არ მაქვს თავისუფალი და ვწუხვარ, მაგრამ ჯერ ბაზის იქით ფეხიც არ გადამიდგამს. გუნდის საქმეებს მოვაგვარებ და მერე ქალაქშიც გავისეირნებ.

— ევროპის ჩემპიონატზე კი საკითხავიც არ იქნება, რომელ გუნდს ქომაგობთ...

— ცხადია, გერმანიას ვქომაგობ და მგონია, რომ ჩემპიონიც გახდება. ფინალში გერმანია — რუსეთის წყვილს ვვარაუდობ, სადაც გერმანია მოიგებს.

— ფინალში ესპანეთის გასვლის არ გჯერათ?

— ესპანეთი კარგი გუნდია, მაგრამ ფინალისტად მაინც რუსეთი მიმაჩნია. ახლა, როცა რუსეთი ნახევარფინალშია, განწყობაც სხვანაირი ექნებათ და, ვფიქრობ, კიდევ უფრო ხარისხიან ფეხბურთს ითამაშებს. რუსებმა ჰოლანდიასთან დაამტკიცეს, რომ კარგი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. თუმცა გერმანელებს ალბათ მაინც ვერ აჯობებენ.

**კობა ინასარიძე**

## ანჟელთა სამი ქულა და ჯიქიას მესამე

**მახაჩყალის** „ანჟიმ“ მორიგი მატჩი მოიგო და რუსეთის პირველ დივიზიონს კვლავაც ლიდერობს.

ომარ თეთრაძის გუნდმა შინ 3:0 მიანგრია მოსკოვის „ტორპედო“, მესამე გოლი კი რევაზ ჯიქიას ანგარიშზეა, რომელმაც მეკარესთან პირისპირ გასვლისას იხეირა...

ჯიქია 70-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე, რევაზ ბარაბაძემ კი ბოლო სამი წუთი ითამაშა.

დანარჩენმა ქართველებმა — მიხეილ აშვეთიამ (2 საგოლე პასი), გიორგი ნავალოვსკიმ, გოჩა ხოჯავამ, ვალერი აბრამიძემ და ზურაბ არზიანმა სრულად იბურთავეს.

რუსული პრესის ცნობით, ხოჯავა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო და ხშირად ეუხეშებოდნენ.

**ილია ნანობაშვილი**

## ლევან მელქაძის და თენგიზ ჩიკვილაძის მოგზაურობა ყარაბახში



ლევან მელქაძე

**ვერ** წაუვიდა უცხოური კარიერა ლევან მელქაძეს: საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობისა და ბომბარდირობის შემდეგ მან კიდევ ცოტა ხანს დაჰყო თბილისის „დინამოში“, შემდეგ კი ჯერ ნორვეგიულ „ვოლერენგაში“ იყო, მერე ყაზახურ „შახტიორში“ და ახლა აზერბაიჯანულ „ყარაბახში“ აპირებს გადასვლას.

მელქაძესთან ერთად, „ყარაბახში“ კიდევ ერთი ქართველია — ამერელი მცველი თენგიზ ჩიკვილაძე.

ვნახოთ, დარჩებიან თუ არა ისინი აზერბაიჯანში, თუმც ვარჯიშების შემდეგ ორივეს კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია იქაურებზე.

არც მელქაძე და არც ჩიკვილაძე აზერბაიჯანული კლუბისთვის არ გვემეტება, მაგრამ... ფული ყლაპავს ყველაფერს.

აგერ, როგორ ყურადღებას აქცევენ ჩვენი მეზობლები ფეხბურთს და ზოგადად სპორტს, აქედანაც ჩანს — აზერბაიჯანში სულ მალე სპორტული ტელევიზია გაიხსნება: AZ TV SPORT.

ცნობისთვის, წმინდა სპორტული არხი რუსეთ-უკრაინის გარდა, ყოფილი საბჭოეთის არც ერთ ქვეყანაში არ არის.

**ილია ნანობაშვილი**

## სიმურგი ქართველ კაპიტნებს აგროვებს

**ამასწინათ** ვწერდით, მიხეილ მახვილაძე, სავარაუდოდ, ზაქათალის „სიმურგში“ გააგრძელებს კარიერასო.

თვითონ ფეხბურთელმა გვითხრა, „სიმურგს“ ბაქოში ჩავაკითხავ შეკრებაზე, დავილაპარაკებთ და გადავწყვეტთო.

გარიგება შედგა — რუსთავის „ოლიმპის“ აწ უკვე ყოფილმა კაპიტანმა მახვილაძემ კონტრაქტი გააფორმა ზაქათალურ გუნდთან, სადაც მის გარდა კიდევ ერთი ქართველია — „ზესტაფონის“ ექს-კაპიტანი კახა ჩხეტიანი.

**ილია ნანობაშვილი**

## ორბელაძე დაჩიაში

**ქართველი** მცველი სერგო ორბელაძე, რომელმაც გასული სეზონი რუსთავის „ოლიმპში“ გაატარა, კიშინიოვის „დაჩიაში“ ისინჯება.

გუშინ ორბელაძემ „დაჩიაში“ „აკადემიასთან“ ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაში სრულად ითამაშა.

კიშინიოველებმა 2:1 მოიგეს და ერთი გოლი ჯაბა დვალმა გაიტანა, რომელიც 57-ე წუთზე შეცვალეს.

„დაჩიას“ კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერი ლევან კორღალიძე, თამაშში 57-ე წუთზე ჩაერთო.

**კახა შალამბერიძე**

### ამხანაგური მატჩები

აარაუ 1:0 ბრაშოვი
კოშიცე 2:1 რიდი
იანგ ბოისი 1:5 შახტარი

### ირლანდია

პრემიერლიგა
XV ტური
ფინ ჰარპსი 0:2 ბოჰემიანსი

### შვედეთი

სუპერეტა. XII ტური
ფალკენბერგი 2:0 ასირისკა

# ველოდები!

## სანდრო იაშვილის თუნი გაწყდა

შვეიცარიულმა „თუნმა“ ვარჯიში განაახლა და ტესტ-მატჩებიც ჩაატარა, თუმც სანდრო იაშვილს ეს აღარ აინტერესებს. ქართველმა ფორვარდმა შარშან „თუნთან“ კონტრაქტი კი გააფორმა, მაგრამ გუნდი სუპერლიგიდან გავარდა და ხელშეკრულება ავტომატურად გაწყდა. სანდრო თბილისშია და ახალ ვარიანტებს ელის...

— „თუნთან“ კონტრაქტში იყო პუნქტი, რომ თუ გუნდი გავარდებოდა, მე ავტომატურად შემეძლო წასვლა. ახლა თავისუფალი ვარ.

— და რას აპირებ?

— უგუნდოდ ნაღდად არ დავრჩები. ველოდები, რაღაც ვარიანტებს, თუმც დაკონკრეტება ნაადრევი გამომივა. საქართველოს ჩემპიონატში არ დავრჩები.

— ვარჯიშობ სადმე?

— დიახ. „დინამოს“ დუბლებთანაც და ინდივიდუალურადაც.

— „თუნში“ დიდი იმედებით მიგიღეს. საბოლოო ჯამში რა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც გუნდში ვერ „ჩაჯექი“?

— პირადად ჩემთან არავითარი, მაგრამ საერთოდ, გუნდში იყო პრობლემები. ბოლოს კი იმიტომ არ მათამაშებდნენ, რომ იცოდნენ, წასვლა მინდოდა. ჩემსავით არ ათამაშებდნენ სხვებსაც, რომლებსაც „თუნიდან“ აბარგება გადაწყვეტილი ჰქონდათ.

— სამი თვის წინ გრაცის „შტურმში“ იყავი, ივარჯიშე კიდეც და რატომ აღარ მოხერხდა იქ გადასვლა?

— „შტურმი“ სერიოზულად არც განმიხილავს. ამ კლუბს ცოტა ფინანსური პრობლემები ჰქონდა, თვითონაც ვერ გადაეწყვიტათ, რომელი ფეხბურთელი უნდოდათ და რომელი არა, ამიტომაც, დიდად აღარ დავინტერესებულვარ „შტურმით“...

**ილია ნანობაშვილი**




# სიომინმა ფარცვანია ავსტრიაში წაიყვანა

**კიევის** „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა 17 წლის ქართველი ფეხბურთელი თემურ ფარცვანია ძირითად შემადგენლობასთან ერთად შეკრებაზე ავსტრიაში წაიყვანა.

ფარცვანია საქართველოშია დაბადებულ-გაზრდილი და უკრაინის დედაქალაქში სამი წლის წინ ჩავიდა საცხოვრებლად.

თავიდან ის კიევის „დინამოს“ აკადემიაში მოხვდა, ხოლო მოგვიანებით „დინამო 2“-ში გადაიყვანეს.

ერთი კვირის წინ სიომინმა ქართველ მცველს, რომელიც უკრაინის მოქალაქეა, ძირითად გუნდთან სავარჯიშოდ უხმო და ახლა შეკრებაზეც იახლა.

**ბახა შალამბერიძე**

# ჯერ სეგრტი, მერე დასვენება

**ავსტრიულ** შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და სლოვაკურ „არტმედიასთან“ 2:3 წააგო.

მალხაზ ასათიანს და დავით მუჯირს ტრავმების გამო არ უთამაშიათ, თუმცა საშიში არაფერია — ქართველი ფეხბურთელები დღეს-ხვალ განაახლებენ სრული დატვირთვით ვარჯიშს.

იქამდე კი მათ ავსტრიაში პეტარ სეგრტმა ჩააკითხათ — საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ბიჭები მოინახულა და „ლოკომოტივის“ თავკაც რაშიდ რახიმოვსაც გამოჰკითხა ამბები.

**ბახა შალამბერიძე**

# ფეხბურთელი მსახიობთა ოჯახიდან

## ლაშა ნოზაძე: მოვიწყინე ქართველების გარეშე

ყარაგანდის „შახტიორში“ ჯერ კიდევ საბჭოთა დროს უთამაშია ქართველს — 80-იანი წლების მეორე ნახევარში ყარაგანდაში მცველი ნუგზარ თედეშვილი თამაშობდა, ხოლო მერე, 90-იან წლებში, ნახევარმცველი ზურაბ ქართველიშვილი. ბოლო პერიოდში კი ქართველების გარეშე „შახტიორი“ არც ყოფილა — კლუბის ვებგვერდი წერს, ყველა ქართველი, ვინც კი ჩამოსულა, ძლიერი ფეხბურთელიაო. და მხოლოდ 80-იანებამდე? ჯერ კიდევ 1960 წელს ფორვარდმა გაგუამ, შარშან კი გიორგი გურულმა და ვაჟა ხაჩიძემ ითამაშეს ყარაგანდულ გუნდში. მეკარე დავით ლორიას და გიორგი სიორიძეს კი „შახტიორში“ უკვე „ჩვენს ქართველებს“ ეძახიან, რაკილა ისინი ყაზახეთში დაიბადნენ. და კიდევ: რევაზ ძოძუაშვილი, ლევან მელქაძე, ვიტალი დარასელია, გიორგი გაბიდაური...
მელქაძეს იხსენებენ, როგორც გადამწყვეტ მატჩებში გოლების გამტანად; დარასელიას — ფინტების დიდოსტატად, გაბიდაურს „შახტიორის“ ისტორიაში საუკეთესო საყრდენ ნახევარმცველად, ხოლო რევაზ ძოძუაშვილს — კლუბის ყველაზე წარმატებულ მწვრთნელად. ახლა ერთი ნამდვილი „ქართველი დელეგატიღა“ დაგვრჩაო, წერს „შახტიორის“ ვებგვერდი: „ის ელეგანტური, ჭკვიანი ნახევარმცველია. მოქმედებს გუნდისთვის სასარგებლოდ და მის გარეშე „შახტიორი“ წარმოუდგენელია...“
მოკლედ, ინტერვიუ 28 წლის ლაშა ნოზაძესთან...



**— ლაშა, თქვენს ოჯახში ფეხბურთელი თუ იყო ვინმე?**

— უმცროსი ძმა, ბექა. ახლა ბოლნისის „სიონში“ თამაშობს.

**— და მშობლებზე რას გვეტყვით?**

— დედაც და მამაც მსახიობები იყვნენ, თბილისის თეატრში საქმიანობდნენ. ბავშვობიდან მახსოვს, კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ვახტანგ კიკაბიძესთან, სოფიკო ჭიაურელთან და სხვა ცნობილ მსახიობებთან.

**— ბურთთან მეგობრობა როდის დაიწყეთ?**

— მამაჩემი ამბობს, რომ მე სიარული იმ დღეს დავიწყე, როცა თბილისის „დინამომ“ თასების თასის ფინალში „კარლ ცაისი“ დაამარცხა. ბურთი კი... ზუსტად არ მახსოვს. ფეხბურთზე პირველად 35-ე სკოლაში მივედი მწვრთნელ კოტე დოლიძესთან.

**— თავიდანვე ნახევარმცველი იყავით?**

— ჯერ მცველი, მერე ნახევარმცველი. თუმც, კარიერის განმავლობაში სხვადასხვა პოზიციაზე მითამაშია.

**— პროფესიონალურ გუნდში დებიუტი როდის გქონდათ?**

— 16 წლისა „ვიტ ჯორჯიაში“ ამიყვანეს და იქ შვიდი წელი გავატარე, კაპიტანიც ვიყავი. ყაზახეთში ჩამოსვლამდე კი თბილისის „დინამოში“ ვთამაშობდი.

**— ვიცით, რომ საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში გითამაშიათ...**

— ერთხელ, როცა რევაზ ძოძუაშვილი იყო მწვრთნელი, ეროვნულ ნაკრებშიც ვითამაშე. ისე კი, 16 და 18-წლამდელებში ვიყავი. 18-წლამდელებში ვახტანგ კოპალეიშვილი რომ გვწვრთნიდა, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავედით, თანაც ჩეხეთსა და უნგრეთს ვძლიეთ. ჩეხეთში მაშინ მილან ბაროში, პეტრ ჩეხი, ზდენეკ გრიგერა და ტომაშ როსიცკი თამაშობდნენ.

**— საქართველოში თამაშისას რა ტიტულები დაგიგროვდათ?**

— „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოში“ თითოჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი, რამდენჯერმე ვიყავი პრიზიორიც.

**— „შახტიორში“ როგორ მოხვდით?**

— ჩემმა აგენტმა შემომთავაზა ეს ვარიანტი. ჩამოვედი, ვნახე აქაური ვითარება და დავრჩი.

**— ალბათ, თქვენი არჩევანის გაკეთებაში დიდი როლი შეასრულა ლევან მელქაძემ...**

— ლევანთან ერთად, თითქმის მთელი კარიერა გავიარე. მან ყველაფერი მითხრა აქაურობაზე. „შახტიორში“ ყველაფრით კმაყოფილი ვარ.

**— ახლა ერთადერთი ქართველიღა ხართ გუნდში. როგორ გრძნობთ თავს?**

— რა თქმა უნდა, ძნელია და საწყენია, თუმც პროფესიონალი ვარ და ვიცი, რომ ჩემი საქმე უნდა ვაკეთო. მინდა, რომ ახალ მწვრთნელთანაც კარგად აგვეწყოს საქმე — ივან აზოვსკის ეტყობა, რომ თეორიული ცოდნა აქვს...

**— რა სჭირს ამ სეზონში „შახტიორს“?**

— არ ვიცი, ფატალური უიღბლობა დაგვდევს. ორი-სამი ისეთი თამაში წავაგეთ, იქით უნდა მოგვეგო. რატომ მოხდა ასე, ვერ გეტყვით. არ გაგვიმართლა, მაგრამ ყველაფერი წინაა და რისი ძალაც შეგვწევს, მივაღწევთ, მიზანს არ გადავუხვევთ.

**— როგორ ფიქრობთ, მიზნის შესრულებაში რომელი გუნდები შეგიშლიან ხელს?**

— სიმართლე ვთქვა, ჩვენვე ვუშლით ხელს საკუთარ თავს. შემადგენლობით და პირობებითაც „შახტიორი“ ყაზახეთში არავის ჩამორჩება. აი, მეტოქეებიდან კი ვერავის გამოვყოფ.

**— საქართველოს და ყაზახეთის ჩემპიონატების დონეს როგორ შეადარებდით?**

— ყაზახეთისა უფრო ძლიერია, თუმც საქართველოში არის 3-4 გუნდი, რომლებიც ყაზახეთის ნებისმიერ ძლიერ კლუბთან თანაბრად ითამაშებდნენ. საქართველოში უფრო ტექნიკური ფეხბურთია, აქ კი მეტი ყურადღება ფიზიკურ მომზადებას ექცევა.

**— „შახტიორი“ პირველად გავა უეფას თასზე. საქართველოში თამაშისას ამის გამოცდილება გაქვთ და თქვენი ახლანდელი თანაგუნდელები რჩევებს არ გეკითხებიან?**

— მოვა დრო და, ალბათ, შემეკითხებიან. ჯერ კი ყაზახეთში გახურებული ჩემპიონატია.

**— რომელი ძლიერი გუნდების წინააღმდეგ გითამაშიათ ევროტურნირებზე?**

— ფრანგულ „ტრუასთან“, ავსტრიულ „პაშინგთან“, ბელგიურ „ლოკერენთან“, პოლონურ „ვისლასთან“... ეს ვინც ამ წუთას გავიხსენე...

**— დასვენების დღეებში რას აკეთებთ?**

— რაც უნდა ბანალურად მოგეჩვენოთ, ტელევიზორში ვუყურებ ფეხბურთს, ჰოკეის, კალათბურთს, ჩოგბურთს... ამ სახეობებიდან მხოლოდ ფეხბურთს ვთამაშობ, მაგრამ დანარჩენ სამზეც არ ვიტყოდი უარს. ვუსმენ მუსიკას, მიყვარს ფილმების ყურება, მეგობრებთან ყოფნა და ძალიან მენატრება ოჯახი... მიზეზთა გამო ისინი აქ ვერ ჩამომყავს. მეუღლე მუშაობს, უფროსი ქალიშვილი სალომე სკოლაში სწავლობს, უმცროსი ელენე კი საბავშვო ბაღში დადის.

**— მეუღლე რომ აქ არ გყავთ, არ ცდილობთ, თქვენით მოამზადოთ კერძები?**

— რვა წელია, დაქორწინებული ვარ და მივეჩვიე იმის ჭამას, რასაც მეუღლე ამზადებს. პირადად მე ჯერ არ დამჭირვებია კერძის გაკეთება.

**— მანქანას ატარებთ?**

— კი, ძალიან მიყვარს მანქანები, თუმც ახლახან ჩემი ავტომობილი გავყიდე და სხვა ვიყიდე — მეუღლისთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალდერ-ომი დასრულდა!


„რეალის“ არ იყოს, ჩემპიონთა თასის მოგების გემო არც კრიშტიანუ რონალდუსთვისაა უცნობი

**„რეალმა“** ხელები აწია: ფეხბურთელში, თუნდაც ის კრიშტიანუ რონალდუ იყოს, 80 მილიონის გადახდა მეტისმეტიაო.

მადრიდელთა პრეზიდენტი რამონ კალდერონი: „80 მილიონ გირვანქას ერთ კაცში არასდროს გავიღებ“ — 80 მილიონი გირვანქა 156,871 მილიონი დოლარი ანუ 101,259 მილიონი ევრო გახლავთ.

და კიდევ, გაზეთმა „სანმა“ ექსკლუზიურად გაიგო, რომ სინამდვილეში „იუნაიტედი“ სულაც არ აპირებდა პორტუგალიელი ვარსკვლავის სათადარიგოთა სკამზე დალპობას — თუ გაიყიდებოდა, გაყიდდა. კაცმა რომ თქვას, ვერც დაალპობდა, რადგან რონალდუს დასმით საშინლად იზარალებდა. თავად განსაჯეთ, ფეხბურთელს ათამაშებ თუ არა, ხელფასი უნდა გადაუხადო (რონალდუს ხელფასი კი კვირაში ასი ათას გირვანქას აღემატება) და კიდევ, ფიფას ერთ-ერთი წესის თანახმად, მოთამაშეს, რომელიც სეზონის განმავლობაში ჩატარებული შეხვედრების 10 პროცენტზე ნაკლებში მიიღებს მონაწილეობას, გუნდიდან წასვლის უფლება ეძლევა.

კალდერონმა კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცს, ალექს ფერგიუსონს, აქამდეც ხომ გვარიანად მოუშალა ნერვები და, როგორც ჩანს, ამ საქმიანობას კვლავაც წარმატებით განაგრძობს — ყველაზე კარგი ის არის, რომ რონალდუმ თავისი პირით და ყველას გასაგონად თქვა, სინამდვილეში რომელ გუნდში თამაშზე ოცნებობსო.

„ფეხბურთელის ნათქვამმა ძალიან გაგვახარა, მაგრამ „რეალში“ გადმოსვლა მასზე არ არის დამოკიდებული, ეს „იუნაიტედის“ გადასაწყვეტია. მანჩესტერელებს მისი გაყიდვა არ სურთ. ბოლო სიტყვა მათზეა“.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ჩემპიონის მწვრთნელმა, გერმანელმა ბერნდ შუსტერმა ერთი ხნის წინ განაცხადა, რონალდუში „რეალი“ რაგინდარა თანხას გადაიხდისო — გამოდის, რომ შეცდა.

თუმცა, როგორც ამბობენ, რამონ კალდერონი (რომლის გუნდისთვისაც სატრანსფერო რეკორდის დამხობა უჩვეულო საქმე არ არის, რადგან თავის დროზე ზინედინ ზიდანში 60 მილიონი ევრო გადაიხადა) მოთხოვნილი 80 მილიონი გირვანქის გადახდისგან შორს არ იყო — რამდენიმე მილიონით დაბალ ფასს გადაიხდიდა.

**პაპუნა ძედია**


ფრენკ ლამპარდი და ჟოზე მაურინიუ

# მინუს ხუთი

**ჟოზე მაურინიუმ** დასვენება დროზე ადრე შეწყვიტა. მიზეზი: „ინტერის“ ახალ მწვრთნელს „ჩელსიდან“ თავისი ყოფილი შეგირდის, ფრენკ ლამპარდის წამოყვანა უნდა.

დიახ, ოჯახთან ერთად ზაფხულს კურორტზე გარიდებული მაურინიუ მილან-ქალაქში ხუთი დღით ადრე დაბრუნდა. მიზეზი რომ ჰკითხეს, არ დაუმალავს, ლამპარდის ტრანსფერს თავად უნდა მივხედოო.

ცნობისთვის: „ინტერმა“ ინგლისელი ნახევარმცველის თაობაზე „ჩელსის“ რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად მიმართა და 6,6 მილიონი გირვანქაც შესთავაზა, მაგრამ რუსი გუბერნატორის, რომან აბრამოვიჩის გუნდმა იტალიის ჩემპიონს უარი შეუთვალა.

შეეგუებიან „შავ-ლურჯები“ ამ უარს? რასაკვირველია არა, რადგან მათთვის ლამპარდის გადაბირება სატრანსფერო სეზონის მთავარი მოვლენაა.

და გამოსავალი სად არის? მილანელებმა თანხა უნდა გაზარდონ? ეს, ჯერ გასარკვევია, მთავარი კი ის არის, რომ ლონდონში „ჩელსის“ ახალ თავკაც ლუიშ ფელიპე სკოლარის ელოდებიან. სკოლარი რომ ჩავა, ყველა „ლურჯს“ დააკვირდება, გაესაუბრება და აი, მხოლოდ ამის მერე გაირკვევა, სჭირდება ლამპარდი „ჩელსის“ თუ არა.

ცნობისთვის: ბრაზილიელი სპეციალისტი ლონდონში დღეს უნდა ჩაბრძანდეს.

ესპანეთიდან დღესვე ბრუნდება ლამპარდიც — მალიორკაზე ისვენებდა მეუღლესთან და შვილებთან ერთად. ერთი სიტყვით, ამბებს ინგლისელი ნახევარმცველის შესახებ ამ კვირის განმავლობაში უნდა ველოდეთ.

**პაპუნა ძედია**

# საკლასო ოთახი

## ნაკრები, ლიგა და დიდი კლუბები აბა, რა განათლებაა


პოლ ინსი

**„კარგა** ხანია გულიანი ანეკდოტი არ მომისმენია, მაგრამ რომ შევიტყე პოლ ინსს „ბლექბერნის“ მწვრთნელის თანამდებობა არაკვალიფიცირებულობის გამო არ მისცესო, კინაღამ სიცილით მოვკვდი — წერს 90-იანი წლების ინგლისელი ვარსკვლავი პოლ ინსი — აშკარა მასხარაობაა.“

შეგახსენებთ, რომ პოლ ინსს ევროპის უდიდეს კლუბებში აქვს ნათამაშევი — „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ინტერისა“ და „ლივერპულის“ ჩამოთვლა, ვფიქრობთ, საკმარისი უნდა იყოს. ამას დაამატეთ 53 გამოსვლა (2 გოლი) ინგლისის ნაკრებში, რომელსაც ერთი ხანობა კაპიტნობდა კიდეც. ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ინსმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი, 2006 წლის შემდეგ დაბალი ლიგების გუნდებს თავკაცობდა და აი, პრემიერლიგიდანაც გამოუჩნდა ვარიანტი, მაგრამ...

როგორც გაირკვა, პრემიერლიგასა და მწვრთნელთა ასოციაციას მისი დიპლომი არ აკმაყოფილებთ.

ჰოდა, სწორედ ამან გადარია იან რაიტი, რომელიც პრესაში მესვეტე-მიმომხილველად მუშაობს.

ერთი სიტყვით, იმისთვის, რომ პოლ ინსი პრემიერლიგის გუნდს მიაკარონ, მან უეფას პრო-ლიცენზია უნდა აიღოს, რასაც ორი წელიწადი დასჭირდება, მაგრამ რაიტი ასე კითხულობს:

„გამაგებინეთ, რა უნდა ასწავლონ კურსებზე ინსს?“

და თავად პასუხობს საკუთარ კითხვას:

„არაფერი. ეს არის კაცი, რომელსაც ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში აქვს მონაწილეობა მიღებული. მას „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით ჩემპიონთა ლიგის ბრძოლები გადახდენია, „ინტერის“ ნახევარდაცვა შეუდულაბებია და „ლივერპულის“ მაისურით „კოპის“ წინაშე უთამაშია. ის, რაც მან ბოლო წლებში „მეკელსფილდ თაუნსა“ და „მილტონ კინის დონზში“ გააკეთა, ნებისმიერ საკლასო ოთახში ჯდომაზე მეტი იყო. ჩვენს წინაშეა ახალგაზრდა, მოწადინებული, ფეხბურთში ნაწრთობი კაცი, რომელსაც გზას ულობავენ... და ყოველივე ამის შემდეგ ფეხბურთის შეფებს უკვირთ, რატომ გვაკლია ინგლისელებს მაღალი დონის მწვრთნელები. მახსოვს, „მიდლსბროში“ ასეთსავე პრობლემებს წააწყდა გარეთ საუთგეიტიც“.

და გამოსავალი?

პოლ ინსი ვარაუდობს, რომ ყოფილი ფეხბურთელებისთვის, რომელთაც ნაკრებში 50 თამაშზე მეტი აქვთ ჩატარებული, გამონაკლისის წესი უნდა მოქმედებდეს.

**პაპუნა ძედია**

## ლიტლმა ამოყვინთა

**„რედინგის“** ნახევარმცველი გლენ ლიტლი „პორტსმუთში“ გადავიდა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „მას ხელშეკრულების გახანგრძლივება შევთავაზეთ, მაგრამ პრემიერლიგაში დაბრუნება სურდა“— განაცხადა ჩემპიონლიგაში ჩაქვეითებული „რედინგის“ დირექტორმა ნიკ ჰამონდმა.

32 წლის გლენ ლიტლმა თითქმის მთელი წინა სეზონი ტრავმის გამო უქმად გაატარა და მხოლოდ ორ მატჩში ითამაშა.

## სევილიას ნდრი

**„ლე მანის“** და კოტ დივუარის ნაკრების ნახევარმცველი კოფი ნდრი რომარიკი „სევილიამ“ იყიდა. ესპანური კლუბის ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ 25 წლის ფეხბურთელმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და შემდგომში მისმა მყიდველმა 30 მილიონი ევრო უნდა გადათვალოს. გარიგების ფასი უცნობია, მაგრამ ფრანგული მედიის ვარაუდით, „სევილიამ“ ნახევარმცველში რვა მილიონი ევრო გადაიხადა. რომარიკი სეიდუ კეიტას ადგილს დაიკავებს, რომელიც „ბარსელონაში“ გადაბარგდა.

## კლიში გრძელი თოფით

**„არსენალის“** მცველმა გაელ კლიშიმ კლუბთან გრძელვადიანი ხელშეკრულება გააფორმა. 22 წლის ფრანგი „მეთოფეებში“ „კანიდან“ 2003 წელს გადავიდა და 146 მატჩი ითამაშა. „ჩელსიში“ ეშლი კოულის წასვლის შემდეგ იგი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად იქცა. მისი კონტრაქტის ვადა უცნობია. გაელ კლიში პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე უყრმესი ჩემპიონია. 18-ის იყო „არსენალში“ ინგლისის ჩემპიონატი რომ მოიგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რონალდინიო ისევ მილანზე ოცნებობს



**როგორც** ჩანს, რონალდინიოს „მილანში“ გადასვლის შანსი ჯერ კიდევ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, „როსონერის“ ბრაზილიელი ვარსკვლავის კაკას თქმით.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონა“ რონალდინიოს, სამუელ ეტოოსა და დეკუს გაყიდვას აპირებს. რონალდინიოს, რომელსაც სეზონი მთლიანად ჩაუვარდა, „მილანი“ ადრე აქტიურად უტრიალებდა, მაგრამ კატალონიელების მიერ მოთხოვნილი დიდი ფულის გამო, მოლაპარაკებები ჩაიშალა და მას მერე „როსონერის“ ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე თქვეს, გაუჩო აღარ გვაინტერესებსო, მაგრამ...

„მიხარია, რომ რონალდინიო ოლიმპიადაზე მიჰყავთ. ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რთული პერიოდი უდგას. „ბარსელონამ“ იგი გაყინა და ახლა კარგი დროა იმისთვის, რომ რონალდინიო „მილანში“ გადმოვიდეს. როგორც იცით, ამაზე დიდი ხანია, საუბრობენ და შეთანხმებაც თითქმის მიღწეული იყო, მაგრამ მერე ვიღაცამ ყველაფერი ჩაშალა. თუმცა მას აზრი არ შეუცვლია, კვლავ „მილანში“ თამაშზე ოცნებობს და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ „როსონერიც“ კვლავ ფიქრობს რონალდინიოზე“ — თქვა კაკამ.

შეგახსენებთ, რომ „მილანს“ ძალიან უნდა ემანუელ ადებაიორის შეძენა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ თქვა კიდეც, თუ თავდამსხმელს დავიმატებთ, ეს მხოლოდ ადებაიორი იქნებაო. გავრცელდა ცნობები, თავად ტოგოელმა ფორვარდმაც ძალიან მოისურვა „როსონერიში“ გადასვლა და „არსენალს“ მოსთხოვა, „სან სიროზე“ გამიშვითო, მაგრამ ამ ამბავზე ახალი ჯერ არაფერი ისმის.

ისევ კაკას დავუბრუნდეთ, რომელსაც, სხვათა შორის, ოლიმპიადაზე თამაში ასევე ძალიან სურს, მაგრამ თანაკლუბელი ალეშანდრე პატოსგან და იგივე რონალდინიოსგან განსხვავებით, პეკინში ალბათ ვერ იბურთავებს, რადგან „მილანი“ არ უშვებს.

„ჩემი სიტუაცია რონალდინიოსას არ ჰგავს, იგი რეალურად აღარ არის „ბარსელონას“ მოთამაშე, მე კი „მილანის“ ფეხბურთელი ვარ და ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილებას კლუბი იღებს. „როსონერის“ უფროსობას ვთხოვე, ოლიმპიადაზე თამაშის ნება მომეცით-მეთქი, ანუ მე ჩემი საქმე გავაკეთე და ახლა ჯერი ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასა და ნაკრების მწვრთნელზეა. რაც შეეხება ჩემს მუხლს, ყველაფერი რიგზეა, ფიზიოთერაპიის კურსს ვაგრძელებ, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს და ორ კვირაში სრულად მწყობრში ვიქნები“ — დასძინა კაკამ.

**გიორგი ძაძაგაძე**

# აბეტეს სიტყვის მოლოდინში
## ლიპის ტოტი და ნესტაც მოჰყვებიან?

**შესაძლოა**, რობერტო დონადონი იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომას არც აპირებდეს, მაგრამ ახლა სიტყვა ფეხბურთის ფედერაციაზე და მის პრეზიდენტ ჯანკარლო აბეტეზეა, ვისი პოზიციაც, სავარაუდოდ, დონადონის გადადგომისკენ იხრება. მათი შეხვედრა დღეს არის დაგეგმილი და დიდი შანსია, რომ დღესვე გაცხადდეს დონადონის მოხსნის ამბავი. მთელი იტალიური პრესა ამაში დარწმუნებულია და ამას ითხოვს კიდეც, ფანების დიდ ნაწილთან ერთად. აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, „სკუადრა აძურაში“ მარჩელო ლიპი უნდა დაბრუნდეს. ჭაღარა ტაქტიკოსის კომენტარი ამ თემაზე ჯერჯერობით არ ჩანს.



მარჩელო ლიპი და ფრანჩესკო ტოტი

შეგახსნებთ, რომ დონადონიმ ნაკრებთან კონტრაქტი ევრო 2008-ს დაწყებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე კი გაახანგრძლივა, მაგრამ შეთანხმებაში იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ „სკუადრა აძურა“ ნახევარფინალში ვერ გავიდოდა, ფედერაციას შეეძლო, დაახლოებით 600 ათასი ევრო, ანუ დონადონის ნახევარი წლის ხელფასი გადაეხადა და კონტრაქტი გაეწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ იტალია პენალტებში დამარცხდა და ნახევრაფინალთან ახლოს იყო, ნაკრების თამაში არადამაჯერებელი გახლდათ და აბეტე ალბათ ამ პუნქტს გამოიყენებს.

პარალელურად, აპენინური ჟურნალ-გაზეთები საინტერესო ინფორმაციას ავრცელებენ, შესაძლოა, ლიპის „მეორედ მოსვლის“ შემთხვევაში ნაკრებს ფრანჩესკო ტოტი და ალესანდრო ნესტაც დაუბრუნდნენო...

ტოტიმ 2006 წლის მუნდიალის დასრულებიდან ცოტა ხანში განაცხადა, „რომაშიც“ და „სკუადრა აძურაშიც“ თამაშს ვეღარ ვუძლებ და ნაკრებიდან მივდივარო. ერთ თვეში მას ნესტაც მიჰყვა.

ახლა ამბობენ, „რომას“ კაპიტანი ჯანრმთელობის მხრივ თავს ბევრად უკეთ გრძნობს და ლიპის ხელქვეით სიამოვნებით ითამაშებსო. ნესტამ კი თავის დროზე თქვა, ვინ იცის, რა მოხდება მომავალ სამ წელიწადშიო.

მარკო მატერაცის ცუდ ფორმასა და ჰოლანდიასთან კატასტროფულ თამაშს თუ გავითვალისწინებთ, „ინტერის“ ვეტერანი მცველის სანაკრებო კარიერა ალბათ დასასრულს უახლოვდება, ეს კი ნესტას ადგილს უთავისუფლებს.

პრესამ უკვე ახალი სამწვრთნელო შთაბიც დააკომპლექტა. ლიპისთან ერთად დაბრუნდება ასისტენტი ნარჩიზო პეცოტი, ექიმი ენრიკო კასტელაცი და ფიზმომზადების მწვრთნელი კლაუდიო გაუდინო, ასევე „ლაციოს“ ექსმეკარე ანჯელო პერუცი და „იუვენტუსის“ ყოფილი მცველი ჩირო ფერარა, ხოლო მეკარეების მწვრთნელი ივანო ბორდონი ალბათ პოსტს შეინარჩუნებსო.

აღვნიშნოთ ისიც, რომ მიუხედავად ევროპის ჩემპიონატზე არადამაჯერებელი თამაშისა, სამშობლოში დაბრუნებულ „სკუადრა აძურას“ ფანებმა თბილი დახვედრა მოუწყვეს.

**გიორგი ძაძაგაძე**



სამირ ნასრიმ პირველი სანაკრეო გოლი ქართველებს გაუტანა

# გლებზი წავა და სხვა მოვა
## არსენალი ნასრით მდიდრდება

**„არსენალმა“** „მარსელისგან“ ფრანგი ყმაწვილ-ვარსკვლავი სამირ ნასრი იყიდა.

დავაზუსტოთ: ეს ამბავი თავად ფეხბურთელმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაცხადა, თუმცა მისი აგენტი ამბობს, გარიგება ჯერ არ გაფორმებულა, რადგან მცირე დეტალები ჯერაც შესათანხმებელიაო.

20 წლის ნასრის ოთხი წლით გადაბირება ლონდონელ „მეთოფეებს“ 20 მილიონი ევრო დაუჯდათ.

ნასრის შესახებ მოკლედ ის შეგვიძლია გითხრათ, რომ მას თავისი ქვეყნის ნაკრებში 12 მატჩი აქვს ჩატარებული. ამ 12 შეხვედრაში ნასრიმ ორი გოლი გაიტანა, რომელთაგან ერთი, რაგინდ სამწუხაროც უნდა იყოს, საქართველოს ნაკრების კარში.

ნასრი ევრო 2008-ზე რაიმონ დომენეკის გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახლდათ. დომენეკმა ის ორჯერ შეუშვა შეცვლაზე.

ყმაწვილკაცმა ბოლო ოთხი სეზონი მარსელში „სტად ველოდრომზე“ გაატარა. მისმა თამაშმა განსაკუთრებით 2004 წელს, 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. 2007 წელს ნასრი ფრანგული ლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. ის ორივე ფრთაზე თანაბარი თამაშით გახლავთ გამორჩეული.

როგორც ჩანს, „მეთოფეებმა“ ბოლოხანს წასული ბელორუსი ალექსანდრ გლების შემცვლელი იპოვნეს. მოგეხსენებათ, გლების შეძენით „ბარსელონა“ და „ინტერი“ არიან დაინტერესებული.

**პაპუნა ძიდია**

## გომისი ბარსაში?

**ესპანური** პრესის ინფორმაციით, „ბარსელონა“ „სენტ ეტიენის“ ფორვარდის ბატეფიმბი გომისისთვის ბრძოლაში ჩაერთო. კატალონიელები მზად არიან, 20 მილიონი ევრო გაიღონ. 22 წლის ფორვარდი აქამდე უკვე დაუკავშირეს „არსენალს“, „ნიუკასლს“, „ლივერპულს“, „იუვენტუსს“, „რომას“, პსჟ-ს... მას „მწვანეებთან“ 2012 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში, „სენტ ეტიენი“ გომისს ალბათ შეელევა.

## მარინის მსურველები

**ინგლისური** „ლივერპული“ გერმანული „მიონხენგლადბახის“ 19 წლის ნახევარმცველს მარკო მარინს აკვირდება, რომელიც „მილანის“, „აიაქსისა“ და „ვოლფსბურგის“ ყურადღების ცენტრშიც არის. ნიჭიერი ფეხბურთელი ბუნდესნაკრებში მოხვედრის კანდიდატია. მას „გლადბახთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს.

## ლონდონური დერბი ვივიანოსთვის

**ლონდონის** „ტოტენჰემი“ მეკარის ძებნას განაგრძობს და ამჯერად თვალი იტალიური „ბრეშას“ 22 წლის გოლკიპერ ემილიანო ვივიანოსთვის დაუდგამს. იტალიის ახალგაზრდული ნაკრების კარის დარაჯში „მამლებს“ თანაქალაქელი „ვესტ ჰემი“ ეცილება. „ჩაქუჩებს“ 13 მილიონი ევროც კი გაუმზადებიათ.

## პალადინო თითქმის ჯენოელია

**რაფაელე პალადინო** „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება და ამიტომ წასვლაზე დაიწყო ფიქრი, მისი „ჯენოაში“ გადასვლაც ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ფეხბურთელმა ბოლო წამს უარი თქვა ამ ტრანსფერზე. ახლა კი ყველაფერი თავიდან დატრიალდა და თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, პალადინოს მომავალ სეზონში „ჯენოას“ მაისურით ვიხილავთ. ამბობენ, რაფაელე გენუელებთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს, მაგრამ „იუვენტუსის“ საკუთრებაშიც დარჩებაო.

**ძოძი ძანდელაძე**

# წმინდა იკერის აღსარება


იკერ კასილიასი

**ესპანეთი — იტალიის მატჩის უდავო გმირი პირენეელთა მეკარე იკერ კასილიასი იყო. მადრიდის „რეალის“ გოლკიპერმა თამაშის მსვლელობისას ორჯერ აშკარა გოლისგან იხსნა თავისი გუნდი, „წმინდა იკერმა“ პენალტების სერიაშიც ორი დარტყმა უკუაგდო და ესპანელები ნახევარფინალში გაიყვანა**

**— რას გრძნობთ მას მერე, რაც ესპანელ ქომაგებს ასეთი დიდი სიხარული აჩუქეთ?**

— ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ნახევარფინალში გავედით და ახლა ევროპის ჩემპიონობა გვინდა. გვსურს, რომ ქომაგები ამაყობდნენ ეროვნული ნაკრებით და ბედნიერნი იყვნენ, მაგრამ ამისთვის ჯერ ფინალში გასვლაა საჭირო.

**— თქვენი აზრით, „ფურია როხას“ მართლაც ძალუძს ევრო 2008-ის მოგება?**

— ამას მთელი ესპანეთი ელოდება და არ გვინდა, ხალხს იმედი გავუცრუოთ. თუმცა ნახევარფინალში მძიმე ბრძოლა გველის, რადგან რუსეთმა დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ნაკრებია. ჯგუფურ ეტაპზე ჩვენს ურთიერთშეხვედრას არანაირი მნიშვნელობა არ ექნება.

**— როგორც იქნა, მოახერხეთ მეოთხედფინალის გადალახვა...**

— ამით ძალიან ვამაყობთ, ესპანური ფეხბურთის ისტორიაში შევედით.

**— ქომაგებს მიაჩნიათ, რომ პირადად თქვენი დამსახურებაა „ფურია როხას“ ნახევარფინალში გასვლა...**

— მსგავს სიტუაციებში ორი სხვადასხვაგვარი შეგრძნება მაქვს ხოლმე. ერთი მხრივ, ძალიან სასიამოვნოა, რომ ხალხი გვერდით გიდგას და შენს სახელს სკანდირებს. მეორე მხრივ კი არასდროს მომწონდა მთავარგმირობა, ასეთ დროს თავს უხერხულად ვგრძნობ, ეს ჩემი სტილი არ არის.

**— რა უთხარით სესკ ფაბრეგასს, როცა იგი ბოლო პენალტის დასარტყმელად მიდიოდა?**

— ეს სიტყვები ვუთხარი: „სესკ, გემუდარები, გაიტანე, რომ მალე მოვრჩეთ“.

**— იტალიასთან შეხვედრაში და სხვა მატჩებში ბევრი ესპანელი ქომაგი იყო სტადიონზე...**

— დიახ, ძალიან გვიხარია, რომ ამდენი ადამიანი ჩამოვიდა ჩვენს მხარდასაჭერად, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია.

**— ...და იკერს ყველა გმირს ეძახის...**

— არ მიყვარს, როცა ფეხბურთთან მიმართებაში ამ სიტყვას ამბობენ, რადგან ყველაფერი მალე იცვლება. დღეს გმირი კასილიასია, რამდენიმე დღის წინ კი დავიდ ვილია იყო.

**— ამბობენ, რომ ესპანეთის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გასახდელში არსებული ბრწყინვალე ატმოსფეროა, ეთანხმებით?**

— მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში ასეთ კარგ გარემოში ჯერ არ აღმოვჩენილვარ. უბრალოდ, იდეალური ატმოსფეროა. ჩვენთან ყველა თანაბარ დონეზეა, ასაკის მიუხედავად. ყველა ახალწვეული კი გრძნობს, რომ პუიოლის, ხავის, ტორესის, რამოსის ან კასილიასის დარად მნიშვნელოვანი ფიგურაა.

**— გარედან ისე ჩანს, რომ ნაკრების მეკარეებსაც ჩინებული ურთიერთობა გაქვთ, ასეა?**

— მე და პეპე რეინა ერთმანეთს ევრო 2008-მდეც კარგად ვიცნობდით. ახლა კი პალოპი შემოგვიერთდა. ჩვენ მართლაც ჩინებული ურთიერთობა გვაქვს. სხვათა შორის, ჩვენ ერთად ვმუშაობთ პენალტებზე, ასე რომ, რეინაც და პალოპიც პირდაპირი მნიშვნელობით, საქმეში არიან ჩართულნი.

# ფინალს როზეტი იმსაჯებს



**ევროპის** ჩემპიონატის ფინალს იტალიელი რობერტო როზეტი იმსაჯებს, რომელიც შვეიცარიასა და ჩეხეთს შორის გახსნის მატჩის არბიტრიც გახლდათ. ასე რომ, გამოდის, ევრო 2008 როზეტიმ გახსნა და როზეტივე დახურავს. ლაინსმენები ალესანდრო გრიზელი და პაოლო კალჩანიო იქნებიან.

სხვათა შორის, შვეიცარიისა და ჩეხეთის მატჩში როზეტიმ ჩეხთა მხრიდან ხელით თამაშის ორი ფაქტი ვერ შენიშნა, აქედან ერთ-ერთ ეპიზოდში პენალტი აშკარად დასანიშნი იყო. სამაგიეროდ, მან უბადლოდ იმსაჯა ხორვატიისა და თურქეთის ძალიან დაძაბული და დრამატული შეხვედრა.

წელს როზეტი კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრის არბიტრი გახლდათ — ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ჩელსისა“ და „ლივერპულის“ ლონდონური მატჩისა. მან ბრიტანული პრესისგან და სპეციალისტებისგან კომპლიმენტების ზღვა დაიმსახურა, ასეთი მძიმე თამაში ბრწყინვალედ იმსაჯაო.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 40 წლის როზეტიმ ექვს შეხვედრას უარბიტრა და ფინალის მსაჯობის შანსიც ექნებოდა, იქ იტალია რომ არ გასულიყო.

სხვათა შორის, როზეტის ჰკითხეს კიდეც, გულის სიღრმეში იტალიასთან შეხვედრაში ესპანეთს ხომ არ ქომაგობდით, რათა გამადწყვეტი მატჩის მსაჯობის შანსი გქონოდათო...

„რასაკვირველია, იტალიას ვქომაგობდი. ცხადია, „სკუადრა აძურას“ ბავშვობიდან მხურვალედ ვგულშემატკივრობ და მუდამ ასე იქნება. თუმცა მე პროფესიონალი ვარ და ძალიან მახარებს, რომ ფინალის მსაჯად დამნიშნეს. ეს მთელი იტალიის არბიტრთა კორპუსის აღიარება და დამსახურებაა“ — თქვა როზეტიმ.

მისი დედა ხორვატი ემიგრანტია. როზეტი 1967 წლის 18 სექტემბერს ტურინში დაიბადა. სერია A-ში თავისი პირველი მატჩი 1996 წელს იმსაჯა. ფიფას არბიტრი 2002 წლიდან გახლავთ. მუშაობს ერთ-ერთი საავადმყოფოს მენეჯერად.. უყვარს ჩოგბურთი და კითხვა. იტალიურის გარდა ინგლისურ და ფრანგულ ენებს ფლობს.

**ძოძი ძანძღაძე**

# ფეხბურთი გაცილებით მარტივია

**უეფას** მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ივან კორნუმ განაცხადა, რომ არბიტრთა კომენტარების მაყურებელთა სამსჯავროზე გამოტანას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. საუბარი რაგბიდან ფეხბურთში ერთი თავისებური წესის გადატანას, მსაჯების მიერ თავიანთი გადაწყვეტილებების ხმამაღალ განმარტებას ეხება.

მიმდინარე ევრო 2008-ზე მართლაც იყო რამდენიმე ეპიზოდი, როდესაც მსაჯის გადაწყვეტილებამ ჩვეულებრივი მაყურებელი კი არა, საფეხბურთო მიმომხილველებიც კი დააბნია. ეს ეპიზოდები ერთი შეხედვით მართლა საჭიროებდნენ განმარტებას, მაგრამ ბატონი კორნუ მაინც დარწმუნებულია, რომ ამ საკითხში რაგბის წაბაძვა ფეხბურთს სიკეთეს ვერ მოუტანს.

„საჯარო ახსნა-განმარტება რაგბისთვის ზედგამოჭრილია, რადგან სპორტის ამ სახეობას საკმაოდ რთული წესები აქვს. იქ მსაჯთა კომენტარები მაყურებელს ეხმარება. ხალხი განმარტებას ისმენს და კმაყოფილი რჩება, ფეხბურთის წესები კი შედარებით მარტივია, ხოლო საკამათო გადაწყვეტილებებს შეხედულებები განაპირობებს“.

რასაკვირველია, მსაჯის გადაწყვეტილებასა და წესის ახსნაზე საუბრისას ყველას, უპირველეს ყოვლისა, იტალიისა და ჰოლანდიის შეხვედრაში მომხდარი ამბავი ახსენდება. იმ დღეს შვედმა არბიტრმა პეტერ ფროიდფელდტმა ჩათვალა გოლი, რომელიც მთელი მსოფლიოს აზრით ოფსაიდის გამო არ უნდა ჩათვლილიყო. მოგვიანებით, უეფამ



მსაჯის მხარე დაიკავა და განმარტა, რომ საკუთარ მეკარესთან შეჯახების გამო კუთხურის ხაზს უკან გადავარდნილი მცველი, კრისტიან პანუჩი თამაშიდან გასულად არ ითვლებოდა და, შესაბამისად, ოფსაიდიც არ ყოფილა.

„ეს სიტუაცია, ალბათ, ერთადერთი გახლდათ, როდესაც მსაჯის ახსნა-განმარტება დაუყოვნებლივ იყო საჭირო, თუმცა, მეორე დღეს უეფამ მაინც მოჰფინა სიტუაციას ნათელი.

ჩვეულებრივ კი, ტრიბუნაზე ყოველთვის სხედან ადამიანები, რომლებიც თავიანთი განწყობის გამო მსაჯს არ ეთანხმებიან და მათ ყოველ ეპიზოდზე მსჯელობა რომ დავიწყოთ, ვითარება უფრო დაიძაბება“.

ევრო 2008-ის სადავო შემთხვევათაგან აღსანიშნავი გახლავთ მსაჯის მიერ გერმანელთა მწვრთნელის, იოახიმ ლიოვისა და მისი ავსტრიელი კოლეგის, იოზეფ ჰიკერსბერგერის ერთობლივი გაძევება.

ამ ამბიდან ხუთი დღის შემდეგ კი სლოვაკმა ლიუბოშ მიხელმა რუს მცველ დენის კოლოდინს ჯერ ამოუღო ყვითელი ბარათი (სხვათა შორის, მეორე იმ შეხვედრაში, რის გამოც კოლოდინს მოედანი უნდა დაეტოვებინა), შემდეგ კი თანამსაჯთან ითათბირა, სიტუაციაში გაერკვა და საკუთარი გადაწყვეტილება გააუქმა.

„ზოგადად კი უეფას მსაჯთა კომიტეტი ევრო 2007-ზე არბიტრების მუშაობით კმაყოფილია — დასძინა კორნუმ — თუმცა სასურველია, მსაჯებსა და თანამსაჯებს შორის კოორდინაცია კიდევ უფრო მაღალი იყოს. მსაჯთა და თანამსაჯთა თანამშრომლობის კარგი მაგალითი სწორედ რუსეთისა და ჰოლანდიის შეხვედრაში ვიხილეთ“.

**პაპუნა ძიძია**

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# euro_fan_2008@yahoo.com

**Vaso Kikalishvili:** სალამი „სარბიელს“. ამ ბოლო დროს მგონია, რომ ლოგიკური პარალელებიც ხდება ქართულ ფეხბურთთან რუსეთის და ხორვატიის მაგალითზე. მე კი რუსებთან ჩატარებული მატჩი გამახსენდა, შუშაკის მწვრთნელობისას და ასათიანის თავურით დიდი ენთუზიაზმით რომ მოვიგეთ. წლებიც გავიდა და ჩვენთან არანაირი წინსვლა, მათ თამაშსა და შემადგენლობაში კი ცვლილებები და პროგრესი. (არადა, ფედერაციის ჩინოსნობა მას მერე ორივეგან შეიცვალა). ჩვენ კი კარგის მოლოდინში ცუდსაც ვახანგრძლივებთ ხოლმე. ამაზე საუბარიც მგონი, დაუსრულებელი თემა ყოველთვის იქნება. ალბათ, მანამ, სანამ პროგრესი ეტაპობრივად არ მოვა. მერე კი გულშემატკივრები, მედია და მთლიანად საზოგადოებაც უთუოდ აუწყობს ფეხს და ეჭვი არ მეპარება, საქმეც წარმოჩნდება ადგილზე ტკეპნის და ლაპარაკის ნაცვლად.

გიო ახვლედიანი კი სწორად აღნიშნავს, რომ არშავინი მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო და ლამაზად მოთამაშე იყო ჰოლანდიასთან და ის, რომ გიო ქინქლაძე უფრო ლამაზი იყო, მაგრამ მთავარი მართლაც ის არის, ვინ ვის როგორ გამოიყენებს.

სხვათა შორის, ცხონებული დავით ყიფიანიც ამას ამბობდა ქინქლაძის ნიჭთან მიმართებაში. ამ დღეებში თქვენი გაზეთის წინა ნომრებს გადავხედე, მისმა გაწვრთნილმა ახალგაზრდულმა და ტექნიკურმა „დინამომ“ მოსკოვის „ტორპედო“ რომ დაამარცხა უეფაზე და რომ ბატონ დავითს საინტერესო მოსაზრებები და ინტერვიუები ჰქონდა თქვენს გაზეთში, ჩვენი გუნდების, ნაკრების თამაშთან, ცალკეული ფეხბურთელების მიგრაციასთან და პატრიოტიზმთან დაკავშირებით. სადღაც გულის სიღრმეში კი ფიქრობდა ალბათ, რომ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში არ მოუხდა ასპარეზობა, თორემ ყველას დაანახვებდა დღესაც თავის უბადლო კლასს, და იმას თუ რას ნიშნავს, გეცვას შენი ქვეყნის ნაკრების ფორმა და იყო სახალხო ფეხბურთელი.

ახლა კი ჩემი აზრი ჩემპიონატთან დაკავშირებით. მე მგონია, გამართლდა ჩემი პროგნოზი, რომ ჰიდინკი სამწვრთნელო დუელში ფავორიტი იქნებოდა ვან ბასტენთან, ვინაიდან ჰოლანდიასთან თამაშმა დაადასტურა, რომ ის ბევრად დიდი ტაქტიკოსია ვიდრე ფეხბურთელობაში ვარსკვლავი ვან ბასტენი. მიმაჩნია, რომ მისი სამწვრთნელო შეცდომები იმდენად აშკარა იყო, გულშემატკივარიც ადვილად მიხვდებოდა, სპეციალისტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. კერძოდ კი, სამი ნაადრევი ცვლილება და ისეთი მოთამაშეების გამოყვანა, რომლებმაც არანაირი დაბრძოლი არ შესძინეს ჩვენ თამაშს. აგრეთვე ჰუნტელარის და ვენგოგორ ოფ ჰესელინკის თადარიგში გამწესება. რუსეთის ნაკრები, ალბათ, კარგა ხნის სასაუბრო თემა იქნება, მათი დამსახურებული თამაშის ფონზე. ესპანეთთან მატჩი კი 1:4 განმეორება, ალბათ, აღარ იქნება და შანსებიც თანაბარი მგონია. გერმანიას კი ფინალისტობის კარგი შანსი აქვს, თურქეთის უტეხი და მებრძოლი გუნდის მიუხედავად.

**GIO81**: გამარჯობა „სარბიელს“! ყოველთვის გწერდით ხოლმე წერილებს, ხან მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხან საქართველოს ნაკრებზე და ხან ჩვენს მორაგბეებზე. ამ ევროზე არ ვაპირებდი მოწერას, წინა ევროს შემხედვარე არც ამ ევროზე მქონდა გრანდების იმედი, ახლა თუ გაზპრომი ეხმარება რუსეთს, მაშინ საბერძნეთს ვინ დაეხმარა 2004-ში? არა მგონია, მთლად გაზპრომის ტაოტიანი ფულების ამბავი იყოს მარტო, აქ კიდევ სხვა ამბავია. ევროჩემპიონატი ჩელენჯერივის არის, ისე რა ნაკრებებისთვის, საუკეთესო ოთხეულში თურქეთს და რუსეთს რა უნდათ აბა. ეჰ საქართველო!

**DZIBO 007**: მივესალმები „სარბიელს“!

სამწუხაროა, რომ ევროპის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. გათამაშებას ორი ფავორიტიღა შემორჩა და, სავარაუდოდ, ისინი ფინალში ითამაშებენ. წყვილში ფავორიტად მაინც გერმანია მიმაჩნია, თუმცა არა მგონია, თურქები ადვილად შეეგუონ მარცხს. ჩვენმა მეზობლებმა საბრძოლო ჟინი უკვე გამოავლინეს და ვფიქრობ, ამ ჟინის ხარჯზე არიან ისინი ნახევარფინალში. ასევე, პატარ-პატარა წვრილმანებიცაა გასათვალისწინებელი:

1) ნახევარი ევროპა ფიქრობს, თურქები ჯადომ გადაარჩინაო. ამ ფაქტმა, შეიძლება, დიდი გავლენა მოახდინოს მატჩზე და გერმანელები მცირედით დაიბნენ და ზოგიერთი მათგანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ცოტათი შესუსტდეს;

2) თურქთა ძირითადი ბირთვი ლეგიონერები არიან, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს „ფენერბაჰჩეს“ თამაში ჩემპიონთა ლიგაზე. იმ „ფენერბაჰჩედან“ კი ნაკრებში ექვსი ფეხბურთელია გამოძახებული;

3) საინტერესო იქნება ჰამით ალთინთოპის თამაში, თანაგუნდელთა წინააღმდეგ. კიდევ ერთი პლუსი, რაც თურქებს აქვთ, სწორედ ჰამით ალთინთოპია. მისი ხუთი თანაგუნდელი (კლოზე, პოდოლსკი, იანსენი, შვაინშტაიგერი, ლამი), ვფიქრობ, ძირითადში დაიწყებენ თამაშს და მათი თამაში ალთინთოპზე კარგად შესწავლილი ვის აქვს?

თუმცა, ჩემი აზრით, კლასი მაინც თავისას იზამს და თურქებს არც ჯადოდ და ყისმათკაცად წოდებული, ფათიჰ თერიმი უშველის. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ იმ ქვეყნის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ თამაშობენ, რომლის ჩემპიონატიც ევროპის საუკეთესო ოთხეულში შედის და ეს ქვეყანა დიადი გერმანიაა.

## ისევ გაზპრომის ტაოტიანი ფულები

### თურქთა ჯადო ის არის, ევროპას რომ ჰგონია, თურქებს ჯადო აქვთო

რაც შეეხება მეორე მატჩს, რა თქმა უნდა, ესპანეთი რუსეთს მოუგებს.

რატომ?

აი, არგუმენტებიც?

1) გუს ჰიდინკი რომ დიდი მწვრთნელია, ეს ყველამ იცის, მაგრამ გავიხსენოთ, 1998 წელი. ჰიდინკი და ჰოლანდია ნახევარფინალში გადიან და იქ კი ბრაზილიასთან მარცხდებიან. ამის შემდეგ, 2002 წელი. ახლა ჰიდინკი და მასპინძელი კორეა გაძვრნენ ნახევარფინალში და დამარცხდნენ. 2004-2005 წლების სეზონი და ჰიდინკის მიერ გაწვრთნილი პსვ ლიგის ნახევარფინალში მარცხდება. დასკვნა: ჰიდინკი ფინალში ვერ გადის;

2) ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ გაზპრომის მილიონებზე დავეჭვდი. ესპანეთთან კი გაზპრომი თამაშს ვერ იყიდის. მძიმე და მსუბუქ მრეწველობას თუ თავს დავანებებთ, ესპანეთში მაღალ დონეზეა განვითარებული ტურიზმი, რაც ნათლად აისახება ქვეყნის ბიუჯეტზე და გაზპრომის სახვეწარი არაფერი აქვთ.

და მაინც, თუ ესპანელები შვედებისა და ჰოლანდიელების მსგავსად ითამაშებენ, მაშინ, ვფიქრობ, საქმეში რუსული შხამი უნდა იყოს ჩარეული. ასე რომ, ჩემი ვარაუდით, ფინალში გერმანია ესპანეთი ითამაშებენ, სადაც, ალბათ, წარმატებას ესპანეთი მიაღწევს. ესპანელთა დამრიგებელს, ლუის არაგონესს, ხომ დიდი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი კასტილიელებისა და სრულიად ესპანეთის წინაშე. პატარა ამბავი ხომ არ არის — უარს ამბობ კაშკაშა ვარსკვლავ რაულზე და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას მხოლოდ საკუთარ თავზე იღებ. ამ ბერიკაცს დიდი გამოცდილება დაუგროვდა და კარგად აქვს გააზრებული, რასაც მოქმედებს.

**P.S.** პირადად მე ძალზე მოხარული ვიქნები, თუ ასეთ რუბრიკას სპორტის სხვა სახეობებშიც დააარსებთ, რათა ჩვენ, სპორტის თავგადაკლულმა გულშემატკივრებმა ჩვენი აზრის დაფიქსირება ფორმულა 1-ის, კალათბურთის, ჩოგბურთის და ა. შ. ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზეც შევძლოთ.



ანდრეი არშავინი

**Dato Kandarelli:** „სარბიელს“ გაუმარჯოს!

ბოლო ნომრებში გამოქვეყნებული ერთ-ერთი გულშემატკივრის წერილი წავიკითხე და არ შეიძლება, რომ არ გამოვხმაურებოდი.

სამწუხაროდ, რატომღაც ბოლო პერიოდში გულშემატკივრებში დიდი შური და ბოღმა შეიმჩნევა ამა თუ იმ ნაკრების და, რაც მთავარია, ნაკლის მიმართ. ჯერ ერთი — სანამ ადამიანი ამა თუ იმ ეროვნების გინებას დაიწყებს, უნდა გაითვალისწინოს, რომ ფეხბურთს თამაშობს 22 ადამიანი და არა მთელი ერი ან კიდევ ერის რომელიმე პოლიტიკოსი.

მეორე — ადამიანი, რომელიც რომელიმე ეროვნების მიმართ სიმპათიის გამო აგინებს სხვა ნაციას, ის ფეხბურთის გულშემატკივრების სიიდან ჩამოსაწერია. ამ წერილის მოწერა გადავწყვიტე მაშინ, როცა რუსეთის მიმართ ერთ-ერთი გულშემატკივრის წერილი წავიკითხე და ასევე, რამდენიმე სხვა საიტზეც თვალში მომხვდა, თუ როგორ აგინებდნენ რუსეთს ნახევარფინალში გასვლის გამო. ერთი რამე მაინტერესებს — ჩვენ ფეხბურთს ვგულშემატკივრობთ თუ პოლიტიკას? ევროპის ჩემპიონატი არის ჩვენთვის დღესასწაული და მოდით რა, პოლიტიკით „დაგრუზულმა“ გულშემატკივრებმა სამ დღეს გვაცალონ ეს სიამოვნება. ის ფაქტი, რომ, დავუშვათ, რუსეთმა ყველა ნაკრები იყიდა და ისე გავიდა ნახევარფინალამდე, ერთ რამეს ვერ გავექცევით. გავიხსენოთ 2004 წლის უსახური ჩემპიონატი, რომელზეც, ჩემი აზრით, ყველაზე უაზრო გუნდი გახდა ჩემპიონი. დავიჯერო, ისე ითამაშა რუსეთმა, როგორც მაშინ საბერძნეთმა? ბოლო ორი თამაში, რომელიც რუსეთის ნაკრებმა აჩვენა, ჩემთვის იყო მოვლენა და ძალიან სასიამოვნო ფაქტი. ასეთი ხალისით და მონდომებით, ალბათ დიდი ხანია, არავის უთამაშია. თავი დავანებოთ ყიდვა-გაყიდვას. რუსეთმა ითამაშა ფეხბურთი და დაიმსახურა შემდეგ ეტაპზე გასვლა. ესე იგი, რა გამოდის, საბჭოთა კავშირის ნაკრები ყველა თამაშს ყიდულობდა და, სამწუხაროდ, 1988 წელს ფული დააკლდა ფინალისთვის; „დინამომ“ 1981 წელს რამდენი გადაიხადა, რომ თასი აეღო? საბჭოთა კავშირის ჩემპიონები რომ გავხდით, გამოდის, რუსეთი ვიყიდეთ? ყველამ იცის, მაშინ რას ნიშნავდა ზოგი რუსული კლუბისთვის ჩვენი ჩემპიონობა, მაგრამ ეს მაინც ასე მოხდა. ამაზე არავინ არაფერს ამბობს, იმიტომ, რომ ბევრი ბიჭები გვიყვებიან, მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ქართველები თამაშობდნენ და მოვიგებდით, აბა, რა იქნებოდაო. არ არის ეს ლამაზი, უბრალოდ. გუნდი იგებს და არა — ეროვნება.

მე არ ვამტკიცებ, რომ რუსეთს არაფერი უყიდია და ყველაფერი სუფთადაა, მაგრამ არც იმას ვიტყვი, რომ ჰოლანდიის მოგების შემთხვევაში, გაზი გაძვირდებოდა.

ეს არის, უბრალოდ, ბოღმა და თან დიდი ბოღმა რუსების მიმართ და დროა, ამას ბოლო მოეღოს. პოლიტიკი იყოს იქ, სადაც არის და სჯობს, ფეხბურთში ნუ ავურევთ. ის ხალხი თამაშობს თავისი ქვეყნის ღირსების დასაცავად და ამასაც პატივი უნდა ვცეთ. არშავინმა არაფერი დააშავა, თუ აბრამოვიჩი ფულს იხდის რამეში.

დედის გინებას ჯობია, რუსეთს როცა შევხვდებით, სპორტულად მოვუგოთ და ცხოვრებაში ერთხელ მაინც (2050 წლის პროექტი იქნება, ალბათ), ფინალურ ეტაპზე გავიდეთ.

სულ სამი თამაში დარჩა და ზოგიერთი დაილალა რუსეთის და თურქეთის გინებით. სხვა კუთხით შევხედოთ ამ ყველაფერს. ესპანეთმა პირველი თამაშის გარდა, სად აჩვენა, რომ ფავორიტობის ღირსია? არსად. გერმანიაზე აღარ მაქვს ლაპარაკი. ეს არის გუნდი, რომელიც ყოველთვის ყველაზე სუსტ მოწინააღმდეგესთან ხვდება და თანაც გერმანულ „სვარკა ფეხბურთს“ არასოდეს ღალატობს. მოხვდებოდა ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთი იმ ჯგუფში, საიდანაც იტალია გავიდა და დღეს, ალბათ, ორივე სახლში იქნებოდა დასვენებული და დაწყნარებული ნერვებით. ასეა ფეხბურთი და ასე იყო მუდამ. ამას დედის გინება ვერ შველის. თურქეთმა ამ ჩემპიონატზე დაწერა ახალი ისტორია და დაიმსახურა ნახევარფინალში გასვლა. მე ეს გუნდი უფრო მესიმპათიურება [illegible]. ვაგინო გერმანელებს?

რატომ უნდა ვაგინო, თორემ კი...

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ. შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**

euro_fan_2008@yahoo.com



გიო ახვლედიანის

# ზიზუს ლაპარაკები

აგე, დღეს იქნება კიდევ ფეხბურთი. სულ სამი ფეხბურთი დარჩა — მერე უყურე ინტერტოტოს.

იმ დღეს ზიზუ იჯდა თამაშზე და მერე ულაპარაკიათ ჟურნალისტებს. არშავინზე უკითხავთ და ამას უქია, კაი ფეხი აქვსო, ოღონდ გვარს ვერ ვამბობ სწორადო.

ზიზუ, შეიძლება, „რეალის“ პიარმენეჯერად დაინიშნოს, პირდაპირ უთქვამს, მწვრთნელობა ჩემი საქმე არ არისო. იქამდეც ჰქონდა შეთავაზება და მაშინაც იუარა.

თავის დროზე, „რეალმა“ ზიდანის გადმოსაყვანად 46 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ახლა 70-ს იხდის რონალდუში, ოღონდ, 80-ს არაფრით გადაიხდის. ეს 80 „მანჩესტერის“ მიერ უარისთვის დასახელებული ფასია. ჰოდა, არ ვიცი, ფასები ხომ ასეთი რამაა, მოთხოვნის მიხედვით დგება, თორემ ორი ზიზუსდენი...

ამ ლაპარაკში ძალიან ჩავიხვიე ეს ზიზუ. იმიტომ, რომ მომენატრა. ძალიან მოაკლდა თამაშს.

მგონი, გასულ კვირაშით დავწერე. დავწერე რა, დამეწერინა. ვააზ, აი, ვინ იყო გამკეთებელი კაცი.

არშავინს კიდევ „ზენიტიდან“ წასვლა გადაუწყვეტია. თვით დიკ ადვოკაატს უთქვამს, სწორედ გუშინ ველაპარაკეო. თვლის, რომ ამ ასაკში უკვე დროა, ან ინგლისი, ან ესპანეთი. სხვაგან მის ხელფასს ვერ შესწვდებიან. ლენინგრადულზე მეტი ხომ უნდა იყო ცოტათი მაინც? „ჩელსი“ დაქირმაჩებულია, „არსენალიც“ ეცლებათ, თვითონ, მგონი, უფრო ესპანეთისკენ მიუწევს გული.

ამასობაში ახლოვდება დღევანდელი საღამო და უეფამ კი არ დააკმაყოფილა თურქების თხოვნა, მეკარე დემირელისთვის თამაშის უფლების მიცემის თაობაზე. ეს რაღაც განსაკუთრებული ჯარიმაა, თორემ ბასტიან შვაინშტაიგერს ერთი თამაში აკმარეს.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას ოფისი აქვს გერმანიაში. ეს იმიტომ, რომ მომავალი ალთინთოფები და ბათები, მეჰმეთ შოლებად არ გარდაისახონ და თავიანთი ნამდვილი სამშობლო წარმოადგინონ. საერთოდ, კიდევ გერმანიაში ორი მილიონი თურქი ცხოვრობს და კიდევ ნახევარ მილიონს თურქული იერი აქვს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ზეპ პიონტეკმა, ამ ლეგენდარულმა ჩიბუხიანმა კაცმა, დიდი ამაგი დასდო თურქეთის ნაკრებს და, სწორედ მის თანაშემწეობაში გამოიზარდა ფათიჰ თერიმი, სურათი შ.ამბეჭდავი იქნება. ისიც გასახსენებელია, რომ როცა წინა მსოფლიო ჩემპიონატზე თურქეთი ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა, გერმანელი თურქები პირველად შეიქნენ გერმანიის ქომაგები.

ამ ჩახლართულობაში, მძიმე საღამო კი იქნება. გერმანია თავის ორგანიზებულობით და თურქეთი თავისი თავდავიწყებით. აბა, ვნახოთ. თურქებს მეზარბაზნეები აკლიათ, როგორც ერთ დროს მეფე ერეკლეს, მაგრამ როგორც ერთმა გონებამახვილმა კაცმა თქვა, რა მნიშვნელობა აქვს? თურქები მაინც ისე ითამაშებენ, როგორც აქამდე თამაშობდნენ.

მეორე გონებამახვილმა კაცმა კი მითხრა, არ ვენდობი მე ისეთ ბიჭებს, ეგეთი ვარცხნილობა რომ აქვთო, რონალდუზე. აგერ, ზიზუსაც პორტუგალია ჰქონია გულში. აბა, ვინ ექნებოდა, სადაც დეკუ, პეპე, სიმაო და ყველანი იყვნენ, იმათი იმედი ექნებოდა. უფრო ამათი მოგება მეგონაო. ჩვენებისა დიდი მოლოდინი მქონდაო, პირველი თამაშის მოგება იყო აუცილებელიაო.

ეჰ, ეს ჩავლილი ამბებია.

ფინალის მსაჯი დანიშნულია — როზეტი.



ზიზუ და მეუღლე ვერონიკა



იოზეფ ჰიკერსბერგერი

# დათვი ცირკიდან წავიდა

**ავსტრიის** ნაკრების მწვრთნელმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა სკამი გაათავისუფლა.

ისევე როგორც შვეიცარიამ, ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძელმა ავსტრიელებმაც მეოთხედფინალში გასვლა ვერ შეძლეს.

პირველ მატჩში ხორვატებთან დამარცხდნენ, მეორეში პოლონეთს დაუზავდნენ და ბოლოს გერმანელებთან წააგეს.

გერმანიასთან თამაშის შემდეგ ჰიკერსბერგერმა განაცხადა, რომ წასვლას არ იჩქარებს და მოსაფიქრებლად დრო სჭირდება, გუშინწინ კი გაზეთ „დერ სტანდარტს“ გაუმხილა, ნაკრებში მუშაობას აღარ გავაგრძელებო.

„მე მივდივარ. დაღლილი და გამოფიტული ვარ. დასასვენებლად და ძალების აღსადგენად დრო მჭირდება. მისია დასრულებულია“ — ეს განცხადება კი მწვრთნელმა საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა.

„გუნდის გადახალისება დაწყებულია და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს, რადგან პროგრესი აშკარაა“ — თქვა ჰიკერსბერგერმა, რომელმაც ნაკრებში ორი წელი იმუშავა.

ბევრი ავსტრიელი ტურნირის დაწყებამდე ფიქრობდა, რომ მათი სუსტი გუნდი თავს შეირცხვენდა, მაგრამ მასპინძლებმა სამივე მატჩში სასახელოდ იბრძოლეს.

გემანიასთან შეხვედრისას ჰიკერსბერგერი და ლიოვი მსაჯმა გააძევა და ტრიბუნაზე მიაბრძანა, რაზეც ავსტრიელთა თავკაცმა იხუმრა: „არბიტრი ისე გვექცეოდა, როგორც მოცეკვავე დათვებს. დათვის როლში ყოფნა აღარ მინდა, მაგრამ მწვრთნელობას ალბათ გავაგრძელებ“.

ვაჟა ხუციშვილი

# შენ ხარ ბატი

**ქართველებს** ვისზე რა გვაქვს სალაპარაკო, ალაგ-ალაგ ისეთ სახელებს არქმევენ ხოლმე ბავშვებს. ისე, გული ნუ დაგვწყდება და, ქართველები სულაც არ ვართ გამონაკლისები. უცებ რაც გვახსენდება, დევიდ და ვიქტორია ბექემებმა უფროს შვილს ნიუ იორკის იმ უბნის სახელი დაარქვეს, სადაც ბავშვი ჩაისახა — ბრუკლინი.

ეს ამბავი იმან გაგვახსენა, რომ აგერ, რუსეთში, კერძოდ კი ნოვოსიბირსკის ოლქის ქალაქ ბოლოტნოეში (ქართულად ჭაობიანი) ხმელიოვების ოჯახში დაბადებულ ჩვილს გუსი დაარქვეს.

გუს ევგენიევიჩი ხმელიოვი — გადასარევად ჟღერს, მით უფრო, რომ გუსი რუსულად ბატია. ხოლო ბედნიერმა მშობლებმა ეს სახელი ახალშობილს რუსთა ნაკრების ჰოლანდიელი მწვრთნელის, გუს ჰიდინკის საპატივცემულოდ რომ დაარქვეს, მიხვდებოდით.

კოტე კეკელია



Личность | серия 6404 № 636371 Артемовским ГОВД | серия 6804 № 6275 Артемовским ГО

22 мая 2004 | 17 апреля

8. Основание для внесения сведений об отце ребенка

свидетельство о заключении брака

запись акта № 574 от 5 февраля 1994

Покровский с/с

свидетельство об установлении отцовства

запись акта № 574 от 5 февраля 1994

Покровский с/с

Просим произвести государственную регистрацию рождения ребенка с присвоением ему

фамилии

имени Гус

отчества Вячеславович

В запись акта о рождении и в свидетельство о рождении просим внести / не вносить (нужное подчеркнуть) национальность отца, матери (нужное подчеркнуть)

Медицинское свидетельство о рождении прилагаем

23 июня 2008

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ– შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ
euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## ნახევარფინალი. დღეს

„სტ. იაკობ-პარკი", ბაზელი
გერმანია — თურქეთი
სავარაუდო შემადგენლობები

**გერმანია:** ლემანი; იანსენი, მეცელდერი, მერტეზაკერი, ლამი; ბალაკი, ფრინგსი, შვაინშტაიგერი, პოდოლსკი; გომესი, კლოზე
**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვი
**თურქეთი:** რუშთუ; ჰამით ალთინთოფი, გიოქჰანი, მეჰმეთ თოფალი, ჰაქან ბალთა; მეჰმეთ აურელიუ, ემრე ბელოზოღლუ, აიჰანი, თუმერი; სემიჰი, ქაზიმი
**მწვრთნელი:** ფატიჰ თერიმი
**მსაჯი:** მასიმო ბუზაკა (შვეიცარია)

# ფრიდრიხს გზაზე ღრიალი დაეჯახა

## თურქები პრეზიდენტიანად თხუთმეტნი არიან


ფატიჰ თერიმი


იოახიმ ლიოვი

„11 კაცის რომ დავრჩეთ, არ ვიდარდებთ. თასისკენ გზას მაინც ვერავინ გადაგვილობავს" — ასე იმუქრება თურქი მცველი გიოქჰან ზანი, ერთ-ერთი იმ თოთხმეტი ფეხბურთელიდან, რომლებიც ფატიჰ თერიმს შემორჩა. მათგან ორი გოლკიპერია — რუშთუ რეჩბერი და თოლგა ზენგინი.

მეკარე ვოლქან დემირელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. თურქებს მისი სასჯელის შემცირება სურდათ, რათა დღეს ეთამაშა და უეფაში გაასაჩივრეს, მაგრამ უარი მიიღეს. კარში კვლავ რუშთუ ჩადგება.

მცველებიდან ემრე გიუნგორი ისე დაშავდა, რომ შინ გაუშვეს. სერვეთ ჩეთინი ტრავმირებულია, ხოლო ემრე აშიქი დისკვალიფიცირებულია.

ნახევარდაცვას დაუბრუნდა სასჯელმოხდილი მეჰმეთ აურელიუ, მაგრამ მეჰმეთ თოფალი, ემრე ბელოზოღლუ და თუმერ მეთინი მკურნალობას აგრძელებენ. შესაძლოა, ერთ-ერთი მათგანი სადღეისოდ გამოკეთდეს და ცოტათი მაინც წაუკრას თანაგუნდელებს ბურთზე ფეხი.

ჩეხების კარში დუბლის ავტორი, „ვილიარეალის" მეგოლე ნიჰათ ქაჰვეჩი ხორვატებთან დაშავდა და ესპანეთისკენ გასწია.

თუნჯაი შანლი და არდა თურანიც „ორყვითლიანები" არიან და გერმანიასთან მატჩს გამოტოვებენ.

თოთხმეტ ჯანმრთელს და ოთხ დისკვალიფიცირებულს კვირის ვარჯიშზე, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰასან დოღანი ეწვია და გაამხნევა.

აი, ასეთი ამბებია ოსმალოების ბანაკში მაგრამ რუშთუმ გერმანელებს შეუთვალა: „გახსოვდეთ, რომ თურქები არასოდეს ნებდებიან". თუ ემრე ბელოზოღლუ ვერ ითამაშებს, რუშთუ რეჩბერი დღეს მოედანზე ერთადერთი იქნება იმ გუნდის შემადგენლობიდან, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის (2002) ნახევარფინალში ბრაზილიასთან დამარცხდა.

„ხორვატების კარში ბოლო წამზე გოლი დაუჯერებელი იყო — გაიხსენა ქაზიმ რიჩარდსმა — როგორც კი ბურთი ბადეში დავინახე, ხორვაიები პენალტებში წააგებენმეთქი, გავიფიქრე, რადგან ფსიქოლოგიურად განადგურებულნი იყვნენ".

როცა ბრაზილიასთან ხსენებულ მატჩში რუშთუ შეღებილი უპეებით იდგა კარში, მაშინ 15 წლის ქაზიმ რიჩარდსი ინგლისის „ბერიში" ვარჯიშობდა, დღეს კი ვეტერან მეკარესთან ერთად ისტორიას მიუკაკუნა — თურქებს პირველად აქვთ ევროჩემპიონატის ფინალში გასვლის შანსი.

ულურ ბორალის აზრით: „საკმარისი ფიზიკური და სულიერი ძალა გვაქვს რთული ვითარების გადასალახად. თურქთა მთავარი იარაღი რწმენაა".

ჰასან დოღანმა კი ნახევარფინალზე ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტები დაპატიჟა და იმ ფეხბურთელებსაც გაუმასპინძლდა ბილეთებით, რომლებსაც ნაკრებში 50-ზე მეტი მატჩი უთამაშიათ. „ფატიჰ თერიმმა ჩვენი ქვეყანა ასახელა — თქვა დოღანმა — ამ სამი სასწაული მატჩის შემდეგ გაცილებით კომფორტულად ვგრძნობთ თავს, როცა, მაგალითად, აეროპორტში პოლიციას თურქულ პასპორტებს ვაჩვენებთ".

გერმანიასთან მატჩის წინ თურქთა გუნდში ყველზე მეტს „ბაიერნის" ნახევარმცველი ჰამით ალთინთოფი საუბრობს. საამისოდ ხუთი გვარსახელიანი მიზეზი აქვს: მიროსლავ კლოზე, ლუკაშ პოდოლსკი, ფილიპ ლამი, მარსელ იანსენი და ბასტიან შვაინშტაიგერი.

ხუთივე ალთინთოფის თანაკლუბელია და ნაკრების ფეხბურთელებს მათზე ელაპარაკება, ვინ როგორ თამაშობს, სად ძლიერია და სად სუსტი. სემიჰ შენთურქმა თქვა, ჰამითი ყოველ ვარჯიშზე ბაიერნელებზე გვესაუბრებაო.

„პორტუგალიასთან შეხვედრამდე ფავორიტად არ მიგვიჩნევდნენ, მაგრამ ამჯერად ფავორიტები სწორედ ჩვენ ვართ — ამბობს არნე ფრიდრიხი — პორტუგალიასთან მატჩი განსაკუთრებული გამოდგა. მთელმა გუნდმა თავდაუზოგავად იშრომა.

უდიდესი სიამოვნება მივიღეთ სავსე ტრიბუნების თვალწინ თამაშისგან. გერმანიის გამარჯვება ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ ახლა ალბათ საკამათო არ უნდა იყოს, რომ ფინალში გასვლის მეტი შანსი გვაქვს, ვიდრე თურქებს.

გერმანიაში ორ მილიონზე მეტი თურქი ცხოვრობს. ჩემს მეგობარ გოგონას დავურეკე ბერლინში და მითხრა, რომ პარასკევს საღამოს, ხორვატიასთან მოგების შემდეგ, თურქებმა ქალაქში მთელი ღამე იზეიმეს. ვიმედოვნებ, რომ ოთხშაბათსაც იქნება ზეიმი ბერლინში, ოღონდ ამჯერად, გერმანიის გამარჯვების გამო.

ფატიჰ თერიმს უტეხი გუნდი ჰყავს. ხორვატებთან მათ შეხვედრას სასტუმროს ფოიეში ვუყურებდით. ხორვატებმა რომ გაიტანეს, ავდექი და ნომრისკენ წავედი და იმ წამს ღრიალი შემომესმა, ყურებს არ დავუჯერე, მოვბრუნდი და თურქებს გაეტანათ.

ბევრ ჩემს თანაგუნდელს ნახევარფინალში ხორვატიასთან შეხვედრა და რევანში უნდოდა ჯგუფში წაგების გამო, მაგრამ მე თურქეთი მირჩევნია. ჩემი აზრით, მათთან უფრო გაგვიადვილდება თამაში. დავაკვირდი და დაცვაში მაინცდამაინც ვერ ბრწყინავენ. მოკლედ, ჩვენ მზად ვართ და მატჩს ველით".

მიხაელ ბალაკი: „ტაქტიკურად, ტექნიკურად, კლასით თუ ინდივიდუალურად, თურქეთზე უკეთესი ნაკრები გვყავს, მაგრამ უცნაური გუნდია და არცერთ მეტოქეს აგდებულად არ უყურებს. ისე იბრძოლეს და შემოაბრუნეს სამი მატჩი, როგორც ამას გერმანია აკეთებდა ხოლმე. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვფიქრობ, რომ ფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს".

ჰამით ალთინთოფი თუ ბაიერნელებზე უყვება თანაგუნდელებს, იოახიმ ლიოვმა თურქების ავანჩავანი იცის. მას „ფენერბაჰჩეში" და „ადანასფორში" უმუშავია.

„ნახევარფინალში შემთხვევით ვერავინ გავა — თქვა ლიოვმა — კარგად ვიცნობ თურქ ფეხბურთელებს პირადი გამოცდილებიდან. თუ საქმე კარგად წაუვიდათ, მათი დამარცხება ძნელია. ჩემი ფეხბურთელები გავაფრთხილე, რომ თურქებს ბოლო წამამდე სჯერათ თავისი გამარჯვების და ამიტომ მეტად მძიმე მატჩი გველის.

პორტუგალია უფრო დალაგებული და დისციპლინირებული გუნდია და ჩემთვისაც მათი „გარჩევა" გაცილებით იოლი იყო, ვიდრე თურქეთის ნაკრების, რომლის ფეხბურთელებიდანაც, ვინ როდის რას იზამს, ვერ ივარაუდებ.

მე უფრო 4-4-2-ის მომხრე ვარ, თუმც პორტუგალიასთან 4-2-3-1-ით ვითამაშეთ და გაამართლა. მთავარია, მეტოქის დაცვა გავხსნათ და გუნდმა დავალების შესრულება შეძლოს. თუ ამას მოვახერხებთ, მონახაზი მეორეხარისხოვანი გახდება".

თურქები და გერმანელები ერთმანეთს ჩვიდმეტჯერ შეხვედრიან. 11 მატჩი გერმანიამ მოიგო, სამჯერ ოსმალოებმა იმარჯვეს და სამიც ფრედ დასრულდა.

ბუნდესნაკრებმა ბოლოს 16 წლის წინ გელზენკირხენში, ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ოსმალოები. მას შემდეგ კი სამი თამაშიდან ორში თურქებმა იყოჩაღეს და ერთხელაც გუნდები უგოლოდ დაზავდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

### გერმანია – თურქეთი

| | | |
|---|---|---|
| 17 | მატჩი | 17 |
| 11 | მოგება | 3 |
| 3 | ფრე | 3 |
| 3 | წაგება | 11 |
| 40 | გოლები | 10 |

## გზა მეოთხედფინალამდე

### გერმანია

**გერმანია 2:0 პოლონეთი**
1:0, 2:0 პოდოლსკი (20, 72)

**ხორვატია 2:1 გერმანია**
1:0 სრნა (24), 2:0 ოლიჩი (62), 2:1 პოდოლსკი (79)

**ავსტრია 0:1 გერმანია**
0:1 ბალაკი (49)

**პორტუგალია 2:3 გერმანია**
0:1 შვაინშტაიგერი (22), 0:2 კლოზე (26), 1:2 ნუნუ გომეში (40), 1:3 ბალაკი (61), 2:3 ელდერ პოშტიგა (87)

### თურქეთი

**პორტუგალია 2:0 თურქეთი**
1:0 პეპე (61), 2:0 რაულ მეირელეში (90)

**შვეიცარია 1:2 თურქეთი**
1:0 ჰაქან იაქინი (32), 1:1 სემიჰი (57), 1:2 არდა თურანი (90)

**თურქეთი 3:2 ჩეხეთი**
0:1 კოლერი (34), 0:2 პლაშილი (62), 1:2 არდა თურანი (75), 2:2, 3:2 ნიჰათი (87, 89)

**ხორვატია 1:1დ.დ. (0:0, 1:3პ) თურქეთი**
1:0 კლასნიჩი (119), 1:1 სემიჰი (120)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია | | | | | | |
| | | ტიპელიგა | | | | | | |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 2.80 | 3.40 | 2.40 | 1.53 | 1.29 | 1.40 |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 478 | ლინი-ვიკინგი | 2.25 | 3.40 | 2.90 | 1.35 | 1.26 | 1.56 |
| 20:00 | 480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 2.35 | 3.40 | 2.75 | 1.38 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 482 | ჰამ კამი-ბრანი | 3.50 | 3.40 | 2.00 | 1.72 | 1.27 | 1.25 |
| 22:00 | 483 | ალესუნდი-მოლდე | 2.35 | 3.40 | 2.75 | 1.38 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 484 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.60 | 3.70 | 5.10 | 1.11 | 1.21 | 2.14 |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2.25 | 3.40 | 2.90 | 1.35 | 1.26 | 1.56 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 492 | ბრინი-სტარტი | 2.55 | 3.40 | 2.50 | 1.45 | 1.26 | 1.44 |
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 16:00 | 485 | მოსი-ალტა | 1.35 | 4.40 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 16:00 | 486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 4.40 | 3.70 | 1.70 | 2.00 | 1.22 | 1.16 |
| 16:00 | 487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 2.10 | 3.40 | 3.10 | 1.29 | 1.25 | 1.62 |
| 16:00 | 488 | სანდნესი-სპარტა ს | 2.15 | 3.40 | 2.90 | 1.31 | 1.23 | 1.56 |
| 16:00 | 489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 1.70 | 3.60 | 4.30 | 1.15 | 1.21 | 1.95 |
| 16:00 | 490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 2.35 | 3.40 | 2.60 | 1.38 | 1.23 | 1.47 |
| 16:00 | 491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 576 | ტურკუ-ჰაკა | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | 26 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 577 | მიუპა-კტპ | 1.35 | 4.40 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.83 |
| 19:30 | 578 | იარო-ჰიკ | 3.80 | 3.30 | 1.90 | 1.76 | 1.26 | 1.20 |
| 19:30 | 579 | როვანიემი-ლაჰტი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 19:30 | 580 | ტამპერე-კუოპიო | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 19:30 | 581 | მარიეჰამნი-ინტერი | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| 19:30 | 582 | ჰონკა-ვპს | 1.55 | 3.70 | 5.80 | 1.09 | 1.22 | 2.25 |
| | | ისლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 23:55 | 593 | ფილკირი-გრინდავიკი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008 | | | | | | |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 29 | გერმანია-თურქეთი | 1.45 | 4.00 | 6.60 | 1.06 | 1.18 | 2.49 |
| | | 26 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 30 | ესპანეთი-რუსეთი | 2.10 | 3.30 | 3.40 | 1.28 | 1.29 | 1.67 |
| | | სამხრეთ ამერიკა. ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 26 ივნისი | | | | | | |
| 04:30 | 496 | ქუიტო-ფლუმინენსე | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 600 | კაშიმა-ოიტა | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 14:00 | 601 | გამბა-კიოტო | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | შვედეთი. თასი | | | | | | |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 497 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 20:00 | 498 | ლანდსკრონა-სუნდსვალი | 2.50 | 3.30 | 2.60 | 1.42 | 1.27 | 1.45 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10029 | გერმანია-თურქეთი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10030 | ესპანეთი-რუსეთი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10478 | ლინი-ვიკინგი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10482 | ჰამ კამი-ბრანი | 3.90 | 2.00 | 2.25 | 1.32 | 1.42 | 1.05 |
| 10483 | ალესუნდი-მოლდე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10484 | სტაბეკი-ტრომსიო | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10492 | ბრინი-სტარტი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10485 | მოსი-ალტა | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 4.80 | 2.10 | 2.10 | 1.46 | 1.46 | 1.04 |
| 10487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10488 | სანდნესი-სპარტა ს | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15029 | გერმანია-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15030 | ესპანეთი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15478 | ლინი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15482 | ჰამ კამი-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15483 | ალესუნდი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15484 | სტაბეკი-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15492 | ბრინი-სტარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15485 | მოსი-ალტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15488 | სანდნესი-სპარტა ს | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11029 | გერმანია-თურქეთი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11030 | ესპანეთი-რუსეთი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11478 | ლინი-ვიკინგი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11482 | ჰამ კამი-ბრანი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11483 | ალესუნდი-მოლდე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11484 | სტაბეკი-ტრომსიო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11492 | ბრინი-სტარტი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11485 | მოსი-ალტა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11488 | სანდნესი-სპარტა ს | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში,
ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14029 | გერმანია-თურქეთი | 1.20 | 2.60 |
| 14030 | ესპანეთი-რუსეთი | 1.75 | 2.10 |
| 14478 | ლინი-ვიკინგი | 1.80 | 2.00 |
| 14481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 1.95 | 1.85 |
| 14480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 1.80 | 2.00 |
| 14482 | ჰამ კამი-ბრანი | 2.20 | 1.70 |
| 14483 | ალესუნდი-მოლდე | 1.80 | 2.00 |
| 14484 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.30 | 2.50 |
| 14492 | ბრინი-სტარტი | 1.95 | 1.85 |
| 14485 | მოსი-ალტა | 1.20 | 2.60 |
| 14486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 2.40 | 1.45 |
| 14487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 1.75 | 2.10 |
| 14488 | სანდნესი-სპარტა ს | 1.75 | 2.10 |
| 14489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 1.45 | 2.40 |
| 14490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 1.80 | 2.00 |
| 14491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 1.30 | 2.50 |
| 14479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 1.80 | 2.00 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17029 | გერმანია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17030 | ესპანეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17478 | ლინი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| 17482 | ჰამ კამი-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17483 | ალესუნდი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17484 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17492 | ბრინი-სტარტი | 1.85 | 1.95 |
| 17485 | მოსი-ალტა | 1.85 | 1.95 |
| 17486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 1.85 | 1.95 |
| 17487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 1.85 | 1.95 |
| 17488 | სანდნესი-სპარტა ს | 1.85 | 1.95 |
| 17489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 1.85 | 1.95 |
| 17491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 1.85 | 1.95 |
| 17479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16029 | გერმანია-თურქეთი | 1.12 | 4.60 |
| 16030 | ესპანეთი-რუსეთი | 1.50 | 2:30 |
| 16478 | ლინი-ვიკინგი | 1.58 | 2.10 |
| 16481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 1.95 | 1.65 |
| 16480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 1.65 | 2.05 |
| 16482 | ჰამ კამი-ბრანი | 2.40 | 1.45 |
| 16483 | ალესუნდი-მოლდე | 1.65 | 2.05 |
| 16484 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.22 | 3.40 |
| 16492 | ბრინი-სტარტი | 1.80 | 1.85 |
| 16485 | მოსი-ალტა | 1.10 | 5.50 |
| 16486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 3.00 | 1.30 |
| 16487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 1.50 | 2.30 |
| 16488 | სანდნესი-სპარტა ს | 1.52 | 2.20 |
| 16489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 1.24 | 3.60 |
| 16490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 1.65 | 2.05 |
| 16491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 1.22 | 3.40 |
| 16479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 1.58 | 2.10 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12029 | გერმანია-თურქეთი | 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12030 | ესპანეთი-რუსეთი | 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12478 | ლინი-ვიკინგი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 2,5 | 1.80 | 1.70 |
| 12482 | ჰამ კამი-ბრანი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12483 | ალესუნდი-მოლდე | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12484 | სტაბეკი-ტრომსიო | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12492 | ბრინი-სტარტი | 2,5 | 2.10 | 1.60 |
| 12485 | მოსი-ალტა | 2,5 | 2.40 | 1.35 |
| 12486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 2,5 | 2.20 | 1.45 |
| 12487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12488 | სანდნესი-სპარტა ს | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2,5 | 1.90 | 1.70 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაღალი გუნდის მაღალი მიზნები
## მიხეილ კობეშავიძე A-ზე ფიქრობს

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ევროპის B დივიზიონისთვის დაიწყო მზადება. მიხეილ კობეშავიძის გუნდს 25 ივლისიდან 3 აგვისტომდე უნგრეთის ქალაქ დებრეცენში ევროპის ქვედა ეშელონის გუნდებთან მოუწევს ჭიდილი ელიტის საგზურის მოსაპოვებლად. ბოლო წლებში ჩვენს 18-წლამდელებს საერთაშორისო ასპარეზზე გუნდი არ გამოუყვანიათ და ამიტომაც არიან B დივიზიონში. მიზეზი მარტივი იყო: საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ევროპულ ფორუმზე გუნდის მივლინებისგან იმიტომ შეიკავა თავი, რომ ხსენებულ ასაკში შედარებით სუსტი მოთამაშეები გვყავდა. ახლა კი ისეთი თაობას მოუწია ჭაბუკთა ასაკი, რომლითაც წარმატების მიღწევა სავსებით რეალურია.

მართალია, ჭაბუკთა ნაკრები ჯერ სრულად არ შეკრებილა, მაგრამ კობეშავიძე მუშაობას უკვე შეუდგა. გუშინ კალათბურთის აკადემიის დარბაზში ჩვენმა 18-წლამდელებმა საჩვენებელი ვარჯიში გამართეს. **მიხეილ კობეშავიძემ** თავის ასისტენტ ამროსი ორმოცაძესთან ერთად საკმაოდ ნაყოფიერად ავარჯიშა ბიჭები, რომლებსაც ხვალ უკვე პირველი სპარინგ-მატჩი ელით უკრაინელ თანატოლებთან.

რაკი მომზადება ვახსენეთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ასაკობრივ ნაკრებებთან შედარებით წაბუკები ერთობ შეზღუდულები არიან. კობეშავიძის გუნდი ევრომატჩებისთვის მოსამზადებელ პერიოდს მთლიანად საქართველოში გაივლის, როცა ახალგაზრდულ და კადეტთა ნაკრებებს საერთაშორისო ამხანაგური ტურნირები ელით.

ასეა თუ ისე, ჭაბუკთა ნაკრები საკმაოდ დიდი ამბიციით ჩავა უნგრეთში და იმ ორ საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრას ეცდება, რომლებსაც A დივიზიონის საგზური ერგებათ.

გუშინდელ ვარჯიშში 13 კალათბურთელი მონაწილეობდა, ხოლო 3 ლეგიონერი, რომლებზეც კობეშავიძე იმედებს ამყარებს, ნაკრებს იქითა კვირაში შეუერთდება. ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელთან საუბარიც შემადგენლობით დავიწყეთ...

— ძალიან კარგია, რომ მოსამზადებელი მატჩები ისეთ მძლავრ გუნდთან გვაქვს, როგორიც უკრაინაა. ამ ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებთან 26, 27 და 28 ივნისს „დინამოს" ბაზაზე სამ ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ. საერთოდ, სპარინგ-მატჩები იმისაა, რომ გუნდი მოემზადოს და აქ შედეგს ნაკლები მნიშვნელობა ექცევა. ჩვენ შედეგზე არ ვფიქრობთ, უფრო ის გვადარდებს, რომ უკრაინასთან რამდენიმე მძლავრი ლეგიონერი არ გვეყოლება. თორნიკე შენგელია, კოკა ტომარაძე და გიორგი შარაბიძე გუნდს მომავალ კვირაში უერთდებიან. ისინი ახლა უცხოეთში არიან, სადაც გასული სეზონი გაატარეს და დროულად ჩამოსვლა ვერ მოახერხეს. კარგი იქნებოდა, რომ ეს ტრიო უკრაინის წინააღმდეგ გვყოლოდა, მაგრამ რას ვიზავთ.

— ანუ ეს სამი სპარინგ-მატჩი ამაოდ ჩაივლის?

— ამას ვერ ვიტყვი. ეს მატჩები ძალიან წაგვადგება, ბიჭები გამოცდილებას და პრაქტიკას შეიძენენ, თუმც სათამაშო ტაქტიკის სრულყოფის მიზნით უმჯობესი იქნებოდა, სრული შემადგენლობა გვყოლოდა. ფედრაციამ ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენ უცხო ქვეყნის გუნდთან გვეთამაშა და უკრაინაც საკმაოდ ძლიერი მეტოქეა, თუმც შემადგენლობა დროულად ვერ შეიკრიბა, უკრაინელებს კი მხოლოდ ეს დრო აწყობდათ და იძულებულები გავხდით, დავთანხმებულიყავით.

— ჩვენი გუნდის ყველაზე დიდი მინუსი რა არის?

— პირველი ნომრის პრობლემა გვაქვს. დაბალი მოთამაშე ფაქტობრივად არ გვყავს. ძირითადი გამთამაშებელია 193 სანტიმეტრი სიმაღლის ალეკო ძიძიგური.

—სამაგიეროდ, მაღლების პრობლემა არ გაქვთ...


მიხეილ კობეშავიძე შეგირდებს მითითებებს აძლევს

მირიან ქანიშვილის ფოტო

— მაღლები, იცოცხლეთ, ბლომად გვყავს და თან საკმაოდ გამოცდილები. მათი იმედიც გვაქვს.

—ანუ საუკეთესო 2 გუნდში მოხვედრა რეალურად მიგაჩნიათ?

—ამის იმედი რომ არ გვქონდეს, რა აზრი ექნებოდა ამ მომზადებას?! მჯერა, რომ A დივიზიონის საგზურს მოვიპოვებთ, თუმც ამის მიღწევა ძალიან ძნელი კი იქნება. 18 წლის ბიჭები უკვე ჩამოყალიბებული მოთამაშეები არიან. ჩვენს მეტოქეე გუნდებში ისეთი ხალხი თამაშობენ, რომლებიც პროფესიონალურ გუნდებში არიან დამკვიდრებულნი. ჯგუფში გვყავს დანიის, ფინეთის, უნგრეთის და სლოვაკეთის ნაკრებები, რომლებთანაც დიდი ბრძოლა გველის, რომ პლეიოფის საგზური მოვიპოვოთ. იმედია, ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დამთავრდება და მომავალ წელს უკვე A დივიზიონში ვითამაშებთ.

**ირაკლი პერტაია**

### ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატები

*ნიკა მეტრეველი*
*აკაკი დვალიშვილი*
*დავით მაისურაძე*
*გივი ბარბაქაძე*
*ტატო ჩაჩიბაია*
*ბექა ჩიკვილაძე*
*ალეკო ძიძიგური*
*ზურაბ გიორგობიანი*
*გიორგი ჯგერენაია*
*გიორგი კვეტენაძე*
*აკაკი ლომოური*
*კონსტანტინე ტომარაძე*
*გიორგი ნანიტაშვილი*
*გიორგი შარაბიძე*
*ტარიელ თავართქილაძე*
*თორნიკე შენგელია*



# საქართველოს ნამუ და რიგი დაუდგა

თითქმის გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი კიდევ ერთი მწვრთნელით გაიზრდება. ტომით ტონგელი, ავსტრალიელი ჯონ ნამუ ალბათ მალე გახდება ჩვენების ფიტნეს მწვრთნელი. ეს და კიდევ სხვა საინტერესო ამბები საქართველოს რაგბის კავშირის მიერ მოწყობილი პრესკონფერენციაზე გუშინ გახმაურდა. ჩვენი რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ საბერძნეთში დასრულებული ევროპის რაგბის ასოციაციის ყრილობაზე ისაუბრა, რუმინეთში გამართულ IRB-ს ერთა თასზე საქართველოს ნაკრების თამაშზე კი ტიმ ლეინის არყოფნაში მწვრთნელებმა ნიკო ჭავჭავაძემ და ლევან მაისაშვილმა ილაპარაკეს...


ლევან მაისაშვილი, ნიკო ჭავჭავაძე და გია ნიჟარაძე

მირიან ქანიშვილის ფოტო

*გია ნიჟარაძე:* „საბერძნეთში ვიზიტისას ჩვენი მთავარი საკითხი ევროპის ერთა თასის საგაისო კალენდრის დამტკიცება იყო. იცით, 2009-10 წლების ერთა თასი იმავდროულად 2011 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა. სანამ საბერძნეთში გავემგზავრებოდით, ჩვენი ნაკრების მწვრთნელებთან გვქონდა სამუშაო შეხვედრები და სასურველი კალენდარი შევადგინეთ. ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენი ვარიანტი გავიტანეთ და მატჩები რაგბის საერთაშორისო საბჭოს კალენდარს დავამთხვიეთ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ფრანგული კლუბები ველარ გაჯიუტდებიან და ლეგიონერებს ოფიციალურად ვერ დაგვიკავებენ.

კონგრესზე სიტყვით გამოვიდა ევროპის რაგბის ასოციაციის პრეზიდენტი, ფრანგი ჟან-კლოდ ბაკე. მან ურჩია სხვა ქვეყნებს, რომ ჩვენი მაგალითი აეღოთ. აქცენტი ძირითადად რაგბის კავშირის და მთავრობის თანამშრომლებზე გაკეთდა. ითქვა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ლადო გურგენიძის რაგბის საბჭოში გაგზავნილმა წერილმა დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ დაფინანსება გაგვეზარდა. მადლობა ღმერთს, უკვე ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა და ჩვენთვის გაზრდილი ბიუჯეტი სახელმწიფო პროგრამაში დევს. უკვე გვექნება საშუალება, რომ მოვიწვიოთ მაღალკვალიფიციური ფიტნეს მწვრთნელი. დასამალი აღარაა, ამ დღეებში დავურეკავ ჩვენი ნაკრების მწვრთნელ ტიმ ლეინს. მისი მეგობარი, წარმოშობით ტონგელი, ისე კი ავსტრალიელი ჯონ ნამუ საუკეთესო კანდიდატურა იქნება საქართველოს ნაკრების ფიტნეს მწვრთნელად. ნამუ კარგი მორაგბე იყო, სამხრეთ ნახევარსფეროში კი დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელადაც იცნობენ. ასე, რომ, ერთი გასროლით ორ კურდღელს დავიჭერთ. მანუ თან ჩვენებს უკანა ხაზის მწვრთნელი იქნება, თან ფიტნესმწვრთნელი. ეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან რუმინეთში გამართულმა IRB-ს ერთა თასმა აჩვენა, რომ ძირითადი აქცენტი ჯერ ფიზიკურ მომზადებაზე კეთდება, მერე ტაქტიკაზე და ბოლოს ტექნიკაზე.

ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც. ახლა მიდის ინტენსიური მუშაობა, რომ რაგბიში ჩატარდეს ევროპის ჩემპიონატი. ჯერჯერობით პროექტის დონეზე ასეთი ვითარებაა: ექვსი ერის ქვედა ოთხი ნაკრები მეორე გუნდით ითამაშებს, ერთა თასის მონაწილენი კი ძირითადი ნაკრებებით. ჩვენ კი შევთავაზეთ რომ ოთხი წლის მერე, როდესაც გუნდებს შორის დონე გათანაბრდება, ნაღდი ევროპის ჩემპიონატი მოეწყოს და ყველამ ძირითადი გუნდებით ვითამაშოთ. ამასთან ერთად, ევროპის რაგბის ასოციაციის პრეზიდენტი ჟან-კლოდ ბაკე დაგვპირდა, რომ მალე საქართველოში ოფიციალური ვიზიტად რაგბის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტს, თავის თანამემამულეს ბერნარ ლაპასეს ჩამოიყვანს. ჩვენთვის ეს დიდი პატივი და გამოწვევაა, რადგან ასეთი რანგის სტუმარი საქართველოში ჯერ არ ჩამოსულა.

*ნიკო ჭავჭავაძე:* „ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. ბიჭები ბოლომდე დაიხარჯნენ, შეიძლება ითქვას, თავს გადაახტნენ. თავიდან იყო ლაპარაკი, რომ მეორე-მესამე შემადგენლობით ბევრს ვერაფერს ვიზამდით, მაგრამ ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენთან სათადარიგოების მცნება აღარ არსებობს. ძალიან კარგად ითამაშეს კაპიტანმა ბესო უდესიანმა, მორკინალმა ირაკლი ნატრიაშვილმა და ათმა ნომერმა ლაშა მალაღურაძემ. მალაღურაძე სულაც ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

*ლევან მაისაშვილი:* „ჩვენი მორაგბეები სერიოზული მეტოქეებთან გამოიცადნენ და თავიანთი ხასიათი აჩვენეს. იტალიასთან მატჩის შემდეგ ირაკლი ნატრიაშვილს, ბესიკ უდესიანს და ლაშა მალაღურაძეს ფრანგული და იტალიური კლუბების წარმომადგენლები დაესივნენ და მათდამი ძალიან დიდი ინტერესი გამოავლინეს. ვერ გეტყვით, სად გააგრძელებენ ისინი კარიერას, მაგრამ ტურნირზე საუკეთესოები რომ იყვნენ, ფაქტია. ბესიკ უდესიანმა კი შესანიშნავად უკაპიტნა გუნდს და საოცარი ატმოსფერო შექმნა".

**გაჩო სვანიძე**



დუეინ ვეიდი, კარმელო ენტონი და ლებრონ ჯეიმსი

# სუპერ-ამერიკული

## ბრჭყვიალა, მაგრამ სერიოზული

**ვინ** დაუბრუნებს ამერიკას 2002, 04, 06 წლებში დაკარგულ ღირსებას? „ახალი ამერიკელები“ დაუბრუნებენ თუ ვერა, ეს მხოლოდ პეკინში გამოჩნდება, ორშაბათს კი ჩამოიწერა და გამოქვეყნდა იმ თორმეტი კალათბურთელის სია, ვინც ოლიმპიურ გუნდს დააკომპლექტებს.

2000 წელს სიდნეის ოლიმპიადა რომ მოიგეს და ბოლო დიდი გამარჯვება მოიპოვეს, ამერიკელებს მას შემდეგ არ შეუკრებიათ ასეთი ვარსკვლავური გუნდი. აგერ რჩეული ოლიმპიური 12: ჯეისონ კიდი (დალასი), კრის პოლი (ნიუ ორლეანი), დერონ უილიამსი (იუტა), დუეინ ვეიდი (მაიამი), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), მაიკლ რედი (მილუოკი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), კარმელო ენტონი (დენვერი), ტაიშონ პრინსი (დეტროიტი), კარლოს ბუზერი (იუტა), კრის ბოში (ტორონტო), დუაიტ ჰოვარდი (ტორონტო).

ცხადია, ეს არაა ამერიკის იდეალური კრებული, მაგრამ მასთან ყველაზე მიახლოებულია ბოლო რვა წლის გუნდებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის საშუალო სიმაღლე საკმაოდ მაღალია, მაინც შეინიშნება ნომინალურ მეფარეთა სიმცირე. მწვრთნელ მაიკ კრჟიჟევსკის განკარგულებაში ასეთი მხოლოდ სამია — ჰოვარდი, ბუზერი და ბოში. ნაკრებს მოუხდებოდნენ ამარე სტუდემაიერი, ტიმ დანკანი და კევინ გარნეტი, მაგრამ ამარემ ნატანჯი მუხლების მოშუშება გადაწყვიტა, დანკან-გარნეტი კი საკმაოდ მობერლნენ ამისთანა „საზაფხულო ექსკურსიებისთვის“. გუნდში ერთადერთი ნამდვილი ვეტერანი ჯეისონ კიდია, სხვათაგან კი არავინაა 30 წლისა.

ნაკრებში თამაშზე უარი თქვა „დეტროიტის“ ლიდერმა ჩონსი ბილაფსმა და მის მაგივრად მესამე გამთამაშებლის ადგილი იუტელ დერონ უილიამსს ერგო. ჩემპიონი „ბოსტონის“ კაპიტანი და ფინალის უძვირფასესი მოთამაშე პოლ პირსი კი სელექტორებმა დაიწუნეს, ალბათ ამ მოტივით — ეყო რაც ნაკრებში აქამდე ითამაშაო. თუმც სათადარიგო მსუბუქ ფორვარდად გრძელმკლავება დაცვის სპეციალისტის ტაიშონ პრინსის „მომარაგებაც“ არაა პერსპექტივას მოკლებული. მილუოკელი მაიკლ რედის ნაკრებში ყოფნა გამართლდება, თუ ის პეკინში ყოველ თამაშში 2-3 სამქულიანს მოინადირებს.

სხვანი კი ნბა-ს საუკეთესო მოთამაშეები არიან და ამერიკას მათზე უკეთესი აღარ ჰყავს. თუ ამ გუნდითაც ვერ მოიგო და...

„ძალზე ძნელი იყო გუნდის დაკომპლექტება — დაწუნებულ მოთამაშეებს შეფარულ ბოდიშს უხდის ნაკრების მთავარი მენეჯერი ჯერი კოლანჯელო — როდესაც ქვეყანაში ამდენი ძლიერი კალათბურთელია, მათგან 12-ის ამორჩევა ნიშნავს უამრავი სხვა ღირსეულის ნაკრებს გარეთ დატოვებას.“

ისევე როგორც 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე, პეკინშიც გუნდის ბირთვად მოიაზრება 2003 წლის დრაფტის სუპერტრიო — ჯეიმსი-ენტონი-ვეიდი. სასტარტო ხუთეულში მათ შეუერთდებიან ნბა-ს საუკეთესო ცენტრი ჰოვარდი და ბოლო რეგულარული ჩემპიონატის MVP და პლეი ოფის ფინალისტი კობი ბრაიანტი, რომელიც შარშან დაყაბულდა ნაკრებში თამაშზე და ამერიკის ზონის შესარჩევ ტურნირში კარგადაც დაეხმარა თავის გუნდს. შესაძლოა, კრჟიჟევსკიმ პირველ გამთამაშებლად ვეიდის ნაცვლად პოლი ისურვოს, ყოველ შემთხვევაში, მას უკანა ხაზში მდიდარი არჩევანი აქვს.

„ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო კალათბურთელები გვყავს, მაგრამ ახლა მთავარია, მათ თავი ერთ გუნდად, ერთ მთლიან ორგანიზმად შეიგრძნონ და მკაფიო მიზანი დაისახონ“ — ამბობს მაიკ კრჟიჟევსკი.

მთავარი მწვრთნელი აქ გაკვრით შეეხო დიდ ტურნირებზე ამერიკელთა მარცხიანობის მთავარ მიზეზებს — არაგუნდურ თამაშს და სპორტული ჟინის სიმცირეს. შავკანიანი კალათბურთელების აბსოლუტური უმრავლესობის პირველი მიზანი ხომ ნბა-ს ჩემპიონობაა (ფულის შოვნის შემდეგ), ხოლო ისეთი არაფრისმომცემი ტიტულის მოგებაზე, როგორიცაა მსოფლიოს ან ოლიმპიური ჩემპიონობა, ისინი სერიოზულად ფიქრს იწყებენ მეოთხედფინალის ან ნახევარფინალის მესამე მეოთხედში და... აგებენ კიდეც.

„ბავშვობაში ვუყურებდი და ვგრძნობდი, თუ რა დიადი რამაა ოლიმპიადა, მაგრამ იქ თამაშზე არასდროს მიფიქრია. როცა შევიკრიბეთ, მგონი ჩვენ ყველას გვსიამოვნებდა ერთმანეთის გვერდით, ვარსკვლავურ გუნდში ყოფნა და ოლიმპიადას სერიოზულ გამოწვევად ვერ აღვიქვამდით“ — ამბობს ვეიდი, რომელიც ალბათ ახლა გრძნობს ათენში დამარცხების სირცხვილს და დასძენს, პეკინში გაცილებით კონცენტრირებულები ვიქნებით, თანაც პირადად მე ტრავმამ ცოტა დამასვენა კალათბურთისგან და პეკინისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებიო.

„ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ კალათბურთი მსოფლიო თამაშია და არსებობს არაერთი მართლა კარგი გუნდი, რომელიც ჩვენს დამარცხებაზე სერიოზულად მუშაობს — კრჟიჟევსკი აქედანვე რაზმავს თავის გუნდს და სწორადაც იქცევა — ჩვენ უნდა ვისწავლოთ დანარჩენ მსოფლიოსთან და მის წინააღმდეგ თამაში, არადა, ისე არავინ ჩამოგვირიგებს ოქროს მედლებს.“

**ირაკლი ფირაშვილი**

# აზარტული ლეგენდა

## ჩარლზ ბარკლი პოკერს მიუბრუნდა

**თავგამოდებულმა** „კარტოჟნიკმა“ და „მაზავშიკმა“ ჩარლზ ბარკლიმ ერთი თვის წინ დაიფიცა, კაზინოს ახლოს აღარ გავეკარებიო და უკვე აპირებს სიტყვის გატეხვას.



„მხოლოდ და მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით“ — თავს იმართლებს 80-90-იანების ლეგენდარული კალათბურთელი. თურმე ლას ვეგასში ცნობილი ხალხი პოკერის საქველმოქმედო ტურნირს მართავს და იქ შეგროვებული თანხით სუდანში სამოქალაქო ომის შედეგად დაზარალებულების დახმარება იგეგმება.

სუდანში 2003 წლის შემდეგ მძვინვარებს ეთნიკური კონფლიქტი, რომელმაც უკვე 300 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო ორნახევარი მილიონი ლტოლვილად იქცა. სხვათა შორის, ლტოლვილთა შორისაა ნბა-ს ერთ-ერთი ცნობადი სახე, „ჩიკაგოს“ 23 წლის ლიდერი ლუოლ დენგი, ვისმა ოჯახმაც რამდენიმე წლის წინ ბრიტანეთს შეაფარა თავი.

რაც შეეხება თავად ბარკლის, ამერიკაში მას გამოუსწორებელ აზარტულ მოთამაშედ იცნობენ. „სერ ჩარლზმა“ წლების განმავლობაში 10 მილიონზე მეტი წააგო. როგორც ხმები დადის, ყველაფერზე უყვარს ფსონის ჩამოსვლა, ამის გარეშე უბრალოდ არ შეუძლიაო. ერთი თვის წინ კი გაირკვა, მას ინტერნეტ-ტოტალიზატორში ისე წაუგია 400 000, რომ ვერც გაუგია და რომ შეახსენეს, წააგე და გადაგვიხადეო, ეს ამბავი ქვეყანას მოედო. მაშინ დათქვა ბარკლიმ, აღარ ვითამაშებო, მაგრამ არავინ დაუჯერა. მოქმედი კალათბურთელი და ბარკლის დიდი მეგობარი ჯეისონ კიდი ამბობს, მართლა ასრულებს პირობას, ამასწინათ გოლფი ვითამაშეთ და ფულზე თამაში არც კი შემოუთავაზებიაო.

თავად ბარკლი კი ამაყად აცხადებს — „აღარ ვთამაშობ არა იმიტომ, რომ ფული შემომელია. უბრალოდ, აღარ მინდა და ასე ორი-სამი წელი არ ვითამაშებ. მერე ვნახოთ...“

ისე ბარკლის თამაშის გარდა ბევრი ლაპარაკი და როხროხა სიცილიც უყვარს. მუშაობს კიდეც მისთვის ყოველმხრივ შესაფერის ადგილზე — თიენთის სპორტულ არხზე საკალათბურთო ანალიტიკოსი გახლავთ. კიდევ, ბარკლი პოლიტოკოსობდა და ალაბამას შტატის გუბერნატორობაზე აპირებდა კენჭისყრას, მაგრამ რესპუბლიკელებს შემოსწყრა და პოლიტიკა მიივიწყა.

**ვანო ძოძიაშვილი**

# ჩემს გარეშე არაფერი ხარო

## კობის თვით შაკმა უკბინა

**„ბოსტონთან“** ფინალში დამარცხების შემდეგ „ლეიკერსის“ სუპერვარსკვლავ კობი ბრაიანტს ჯერ ცხელი გული არ გაუცივებია და მისი ყოფილი თანაგუნდელი შაკილ ონილი ზედ კიდევ მდუღარეს ასხავს.

დევშაკი, მოგეხსენებათ და, მოხუცდა, ძველებურად ფარებს ველარ ლეწს, მაგრამ მაინც კარგ ხასიათზეა, რაკი კალათბურთიდან ალბათ მალე წავა და თან ოთხ საჩემპიონო ბეჭედს გაიყოლებს. ბეჭდები არც ბრაიანტს აკლია, 2000-02 წლებში აკი შაკთან ერთად მოიპოვა სამი, მაგრამ ძაღლის თავიც აქაა დამარხული, რომ „შაკთან ერთად!“ და ამის თაობაზე წამდაუწუმ ახსენებენ თავისი ეპოქაში საუკეთესო კალათბურთელობის პრეტენზიის მქონე კობის. მას გამუდმებით ჩაესმის სტერეოტიპად ქცეული მტანჯველი აზრი — „შაკის გარეშე არაფერი ხარ!“

ბრაიანტი წლეულს როგორც იქნა გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და გუნდი პლეი ოფის ფინალამდეც მიაცილა. ბრაიანტია ბოლოსდაბოლოს, რუბენ ბუმტიე-ბუმტიე ხომ არაა. მაგრამ, ფინალი კი ველარ მოიგო და წამოვიდა სარკაზმების ახალი ტალღა.

მისთვის ყველაზე მტკივნეული ალბათ სწორედ შაკილ ონილის დაცინვაა და აი შაკმაც დასცინა. გეცოდინებათ, იგი რეპის დიდი მოყვარულია, სამი ალბომიც კი შეუდგენია და ალბათ მეოთხეზე იწვალებს ტვინს. ჰოდა, ორი დღის წინ შაკმა კობის გაურეპგაურითმა — ჩემს გარეშე ვერაფერს გახდებიო და მხიარული დევის ეს „ნაკვესი“ მთელმა ამერიკამ ნახა.

„უბრალოდ, ჩემთვის ვლაბუცობდი, მხოლოდ ეგ იყო — მერე თითქოს ბოდიშიც მოუხადა ყოფილ თანაგუნდელს (რაღა დროსი იყო), აქაოდა, გული არ ვატკინოო — კობისთან მაგრად ვარ, არ მინდა, რამე ცუდი იფიქროს.“

**ვანო ძოძიაშვილი**



ოდესღაც შაკი და კობი იქნებ მართლა კარგი მეგობრები იყვნენ

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი




# ახლა მასას დროა

**გასულ** უქმეებზე გამართულმა საფრანგეთის დიდმა პრიზმა „ფერარის" სრული უპირატესობის ნიშნით ჩაიარა. „სკუდერიას" პილოტებმა, ფინელმა მსოფლიოს ჩემპიონმა კიმი რაიკონენმა და ბრაზილიელმა ფელიპე მასამ კვალიფიკაციაშიც ყველას აჯობეს, არც უშუალოდ რბოლისას გაიკარეს მეტოქეები ახლოს და საფრანგეთში ზედიზედ მეორე, წლეულს მესამე, ხოლო გუნდის ისტორიაში 79-ე დუბლი შეასრულეს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ კვალიფიკაციისას საუკეთესო რაიკონენი იყო და ის მთელი ნახევარი რბოლის მანძილზეც ინარჩუნებდა პირველობას, მაგრამ შემდეგ ფინელის ბოლიდს პრობლემები შეექმნა და ფრანგული რბოლა მასას გამარჯვებით დასრულდა.

მასა „მანი კურის" ავტოდრომზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ — 2006 წელს ის იქ მესამე იყო, შარშან მეორე ადგილზე გავიდა და აი, წლეულს გამარჯვების დროც მოვიდა. ფელიპესთვის ფრანგული ტრიუმფი წლევანდელ სეზონში მესამე, ხოლო სულ მერვე იყო და შედეგად, კარიერაში პირველად, ის გენერალური კლასიფიკაციის თავში მოექცა.

მასა წლევანდელი, უაღრესად საინტერესო ჩემპიონატის, უკვე მეოთხე ლიდერია ლუის ჰემილტონის, კიმი რაიკონენისა და რობერტ კუბიცას შემდეგ და გონება უნდა დაძაბო, რათა გაიხსენო, თუ ბოლოს როდის იყო ლიდერთა ასეთი ხშირი ცვლა. ალბათ გასული საუკუნის 80-იან წლებში, ფორმულა 1-ის ოქროს ხანაში, როდესაც ტრასებზე ერთდროულად დაქროდნენ ალენ პროსტი, აირტონ სენა, ნიკი ლაუდა, ნელსონ პიკე, ნაიჯელ მენსელი...

თუმცა, დღევანდელობას დავუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ პირველი, ავსტრალიური ეტაპი ჰემილტონმა მოიგო და „მაკლარენ-მერსედესის" მძღოლმა მეორე, მალაიზიური ეტაპის შემდეგაც შეინარჩუნა პირველობა. ბაჰრეინის დიდი პრიზის შემდეგ საერთო ჩათვლის სათავეში, უკვე რაიკონენი მოექცა და ფინელი ესპანური და თურქული რბოლების შემდეგაც პირველი იყო. მონტე კარლოს დიდი პრიზი ჰემილტონმა მოიგო და ამ გამარჯვებით ლიდერობა დაიბრუნა, მაგრამ კანადაში, ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე, უკვე კუბიცა იყო საუკეთესო და პირველად ისტორიაში, გენერალურ კლასიფიკაციას თავში „BMW-ზაუბერის" პილოტი მოექცა.

და აი, საფრანგეთის დიდი პრიზი, მასას ტრიუმფი და ცხრილის სათავეში, უკვე ბრაზილიელი მძღოლია.

„ჭეშმარიტად დიდებული შედეგია და თანაც, ასეთი, საკმაოდ რთული რბოლის შემდეგ. ჩვენ საფრანგეთში დუბლზე ფიქრით ჩავედით და, მიუხედავად იმ პრობლემებისა, რომელიც კიმის მანქანას შეექმნა, შევძელით ამ ჩანაფიქრის ასრულება — რბოლის შემდეგ აღფრთოვანებას ვერ მალავდა „ფერარის" სპორტული ხელმძღვანელი სტეფანო დომენიჩელი — ეს ყველაფერი კი იმას ამტკიცებს, რომ „ფერარის" უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ჩვენ მართლაც რომ უშეცდომოდ რბოლა ჩავატარეთ, მაგრამ ეს უკვე წარსულია და ახლა მომავალ რბოლაზე, სილვერსტოუნზე უნდა ვიფიქროთ".

სტეფანო დომენიჩელიმ იქვე თავის პილოტებზეც თქვა ორიოდ სიტყვა: „ძალიან მოხარული ვარ ფელიპეს გამო. ის შეუდარებელი და უშეცდომო იყო. ის პირველადაა გენერალური კლასიფიკაციის თავში და დარწმუნებული ვარ, ამით ძალიან კმაყოფილია. რაიკონენს რაც შეეხება, სამწუხაროა, რომ მის მანქანას პრობლემები შეექმნა. არადა, კიმიმ უდიდესი სამუშაო ჩაატარა და ასეთ ურთულეს პირობებში მეორემ უწია ფინიშს".

ახლა კი თავად „მანი კურის" ტრიუმფატორს, ფელიპე მასას მოვუსმინოთ: „დიდებული ტრასა და დიდებული ატმოსფეროა. მე მიყვარს აქაურობა. ამბობენ, რომ შეიძლება „მანი კურმა" აღარ უმასპინძლოს საპირველფორმულო დიდ პრიზებს, ანუ გამოდის, რომ მე, შესაძლოა, აქაური ბოლო რბოლა მოვიგე, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, რომ ასე იყოს. მომავალშიც დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი აქ".

**ტახა ლომაძე**



# ბევრი ქართველი პრაიმ ფიტნესის კორტებზე

**ორშაბათს** ორთაჭალაში საჩოგბურთო კომპანია „პრაიმ ფიტნესის" კორტებზე დაიწყო „რენასა და დათოს თასის" გათამაშება 14 და 16 წლამდე ასაკის ჩოგბურთელებს შორის. ტურნირი საერთაშორისოა და მასში 12 ქვეყნის 250-მდე გოგონა და ბიჭი მონაწილეობს. ჩემპიონ-პრიზიორები კვირის ბოლოს გაირკვევა. ტურნირზე ქართული მხარე ბევრი მოთამაშით არის წარმოდგენილი. 14-წლამდე გოგონებში ქართველთაგან თამარ კობახიძე, ბარბარე ერისთავი, ქეთი მებუკე, ანა გოგვაძე, ბაბილინა მაჩაიძე, ანი ფირცხალავა, ლანა როსტიაშვილი, სოფი გეგეშიძე, თამარ ჩალაგანიძე, ირინე კარანგოზიშვილი, მარიამ სხირტლაძე, ნინო აგრელიძე, მარიამ ქურასბედიანი, სოფო ხარატიშვილი, ლიზა ჟვანია, ლიზა ნადიბაიძე, ელენე კოკაშვილი, მარიკა მახაჩაძე, ვიკა ჟორჟოლიანი, კატია ბალავაძე, ნიკო ბერიძე, მარი კიკნაძე, მარი ჯიმბარიშვილი, ეკატერინე ლაზარეიშვილი, რუსიკო ბებერაშვილი, ესთერ სარქისიანი, ანა ქურდაძე, ეკატერინე პოტაპოვა, ანა ჩალგავა, თამარ ჩიტიშვილი, მარიამ დგებუაძე, ეკატერინე ალანია, კლეოპატრა ქარუმაშვილი და მარიამ მიქაძე გამოვლენ.

ამავე ასაკის ბიჭებში ლუკა ფილფანი, ალექსანდრე დავლიანიძე, ნიკა დოლიძე, მიხეილ ხმიადაშვილი, შოთა მეფარიძე, ირაკლი სამხარაძე, პავლე ვაშაკიძე, ბექა ბაბლიძე, გიორგი კვერნაძე, ომარ მიქელაძე, დავით ბაზაძე, გურამ ნიკოლაიშვილი, ირაკლი კერესელიძე, ვაჟა ბიწაძე, გიორგი დარგარიანი, თემურ კობალაძე, ნიკა ხუბულური, ნიკა ვაჩეიშვილი, ალექსანდრე ბახში, მიხეილ ჯანიაშვილი, გიორგი ხოხბა, რატი ძიძიგური, ლევან ბაშიაშვილი, კარენ სარქისიანი, ცოტნე თავდიშვილი, ლევან ბაკუკიშვილი, საბა ხუციშვილი, დემურ დავითაძე, გიორგი დათაშვილი, ალექსანდრე მაღლაკელიძე, გიორგი ფოცხვერია, გიორგი მოდრეკელიძე და ლევან გაჩეჩილაძე ითამაშებენ.

16-წლამდე ასაკის გოგონებში: ნინო მებუკე, დიანა დავითაია, ნინო სუჯაშვილი, თამარ ცხაკაია, ნინო სუჯაშვილი, ირინა თოიძე, დიანა ტამანოვა, ქეთი ლეშხაშელი, ქრისტინე აივაზიანი, ანი პონპიაშვილი, თეონა ტატიშვილი, მილენა ტამიროვა, ეკატერინე აშმაევა, ეკატერინე მეურმიშვილი, ანი ბერიშვილი, სოფია ბერიძე, თეონა ფიფია, ნათია არეშიძე, ნინო ივანისელი, თათია სათალაძე, ნინო ბიბილაშვილი, ანი მჭედლიშვილი და მაია არჯევანიშვილი გამოცდიან ძალებს.

16-წლამდე ბიჭებში კი ბიძინა ამაშუკელი, დავით ხუციშვილი, გიორგი ჩივაძე, ალექსანდრე მეტრეველი, გიორგი ლორდანიძე, ნიკა ცქიტიშვილი, გიორგი გეგეშიძე, დავით ფოცხვერია, ირაკლი კეზერაშვილი, ზურაბ ცხაკაია, არჩილ ცუცქირიძე, გიორგი მახარაშვილი, სანდრო ბაქანიძე, დიმიტრი ხროკაძე, თემურ შაიხაზოვი, გიორგი ჯიქიძე, დაჩი დავითულიანი, თემურ ზაიხაზოვი, თემურ კობალაძე და გიორგი ბერიძე გაირჯებიან.

**ზურაბ მიგრიაული**



# საქართველომ რუსეთი შეაშინა
## ვენეციამდე მინსკი იყო



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ბელარუსის დედაქალაქში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა და ახლა უკვე თბილისში აგრძელებს მზადებას იტალიაში გასამართი მსოფლიოს სტუდენტური ჩემპიონატისთვის. ნაკრებმა ორი მატჩი ჩაატარა — ჯერ მასპინძლებთან წააგო 25:32, მერე კი მე-3 ადგილისთვის შეხვედრა ლიტვასთან 30:32 დათმო. ჩვენებს მინსკში ირაკლი კეკელიძე თავკაცობდა, რომელიც ნაკრებს იტალიაშიც უხელმძღვანელებს. კეკელიძეს მინსკის ტურნირი შევაფასებინეთ და მოახლოებულ სტუდენტურ ჩემპიონატზეც ვკითხეთ.

— ბელარუსის ნაკრებმა იანვარში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და ჩვენც სწორედ იქ ნაცადი შემადგენლობა დაგვიპირისპირა. საკმაოდ ძლიერი ბიჭები ჰყავთ. მათი სამი ხელბურთელი გერმანიაში გამოდის. ისიც დავამატოთ, რომ ვერ გვეხმარებოდნენ სერგო დათუკაშვილი და რატი მსხვილიძე. შეიძლებოდა, კიდევ რამდენიმე მოთამაშის დამატება. ყველაფრის გათვალისწინებით, ნორმალურად ვითამაშეთ. შეგვეძლო, უფრო მცირე ანგარიშით წაგვეგო, მაგრამ როცა მივხვდით, რომ შანსი არ გვქონდა, გადავწყვიტეთ, ძირითადი ბირთვის გარდა, თამაშის საშუალება სხვებისთვისაც მიგვეცა. მით უმეტეს, იტალიაში წასვლამდე ყველას უნდა მისცემოდა თავის გამოჩენის საშუალება

— ლიტვასთან დასანანი მარცხი იწვნიეთ...

— თავიდან ცუდად დავიწყეთ და ტაიმი 12:28 წავაგეთ. მეორე ტაიმში მოვახერხეთ მობილიზება და თამაშის დამთავრებამდე 30 წამით ადრე, 29:28 ვიგებდით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ ანგარიშის შენარჩუნება, ბიჭები ძალიან დაღლილები იყვნენ. ლიტვა ფიზიკურად უკეთ იყო მომზადებული, გაგვიტანეს, გაგვითანაბრეს და მერე პენალტები დაინიშნა, სადაც 3:1 წავაგეთ.

— მოთამაშეებიდან თუ გამოარჩევთ ვინმეს, ნაკრების ლიდერობა ვინ იტვირთა?

— ვლადიმერ რუსიამ ბელარუსს 5 გოლი გაუტანა, ლიტვას კი — 11 და ტურნირის ბომბარდირი გახდა. რუსია საუკეთესო გარემარბადაც დაასახელეს. 5-5 გოლი გაიტანა მამია კობახიძემ და, საერთოდ,მთელი გუნდით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა თავი არ დაზოგეს. სხვათა შორის, რუსებსაც ჩვენსავით სტუდენტული შემადგენლობა ჰყავდათ და რომ გვიყურეს, გვითხრეს, ნეტავ იტალიაში არ შეგვხვდეთო.

და ერთიც — მინსკში სერგეი კირილოვი ვნახეთ, ვინც საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. ბიჭებმა უთხრეს, შემოდგომაზე შესარჩევის შეხვედრები გვაქვს და საქართველოს ნაკრებში თამაშზე რას იტყვიო. მან კი გვიპასუხა, თუ გამომიძახებენ, ჩამოვალო. მისი დამატება, ალბათ, წაგვადგება, თუმც ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის.

— იტალიაში რა იქნება ნაკრების მიზანი?

— ჯგუფში სერბეთი, იაპონია და აზერბაიჯანი გვეყოლება. სერბეთიც და იაპონიაც ძლიერი გუნდები არიან. მომდევნო ეტაპზე ორი უკეთესი გადის. გვინდოდა, აზერბაიჯანი აქ მოგვეწვია და ამხანაგურად გავჯიბრებოდით, თუმც რადგან ერთ ჯგუფში მოვხვდით, ალბათ, აღარ ჩამოვლენ. ისე, მაქსიმალურად დავიხარჯებით და ვნახოთ, რა იქნება...

**ლექსო მაისურაძე**

# უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი–6 ივლისი საპრიზო 14 883 120 £

## კაცები

### პირველი წრე

პოლ-ანრი მატიო (14, საფრანგეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 3:6 6:2 6:0 6:2; მარინ ჩილიჩი (ხორვატია) — ედუარდ როჟე-ვასელინი (საფრანგეთი) 6:4 6:3 7:6; იარკო ნიემინენი (24, ფინეთი) — უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:3 (უარი); ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 6:4 6:4 6:4; რიშარ გასკე (8, საფრანგეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:3 6:4 6:2; სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:2 7:5 6:1; ტომი რობრედო (23, ესპანეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:1 6:3 6:7 6:4; ტომი პაასი (გერმანია) — გილერმო კანასი (არგენტინა) 3:6 6:4 6:4 6:4; ქსავიე მალისი (ბელგია) — დენის გრემელმაიერი (გერმანია) 6:3 6:4 6:2; რადეკ შტეპანეკი (16, ჩეხეთი) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:3 7:6 6:0; ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3 4:0 (უარი); ნიკლას კიფერი (27, გერმანია) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:1 7:5 6:3; მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:4 2:6 2:6 6:2 6:2; ერნესტ გულბისი (ლატვია) — ჯონ აისნერი (აშშ) 7:5 7:5 6:7 7:6; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ანდრეას ბეკი (გერმანია) 6:4 6:4 7:6; ჟერემი შარდი (საფრანგეთი) — ფედერიკო ჟილი (პორტუგალია) 7:5 6:7 4:6 6:4 6:3; ჟილ სიმონი (28, საფრანგეთი) — დავიდ ოლეინჟჩაკი (პოლონეთი) 6:3 6:4 6:2; იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) — ტიერი ასიონე (საფრანგეთი) 7:6 6:4 6:2; ნიკოლას ალმაგრო (19, ესპანეთი) — მარსელ გრანოლერს-პუიოლი (ესპანეთი) 4:6 6:3 7:5 6:2; აგუსტინ კალერი (არგენტინა) — კევინ ანდერსონი (სამხრეთ აფრიკა) 4:6 7:5 7:5 6:1; არნო კლემანი (საფრანგეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 4:6 7:6 6:4 7:6; იურგენ მელცერი (ავსტრია) — ივან ლიუბიჩიჩი (26, ხორვატია) 6:4 7:6 4:6 2:6 6:3; ჯეს ლევაინი (აშშ) — დონალდ იანგი (აშშ) 4:6 6:2 6:3 6:4; გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) — აიზეკ ვან დერ მერვე (ჰოლანდია) 7:5 6:2 6:2; ენდი როდიკი (6, აშშ) — ედუარდო შვანკი (არგენტინა) 7:5 6:4 7:6; ენდი მიური (12, ბრიტანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3 6:4 7:6; კრის იტონი (ბრიტანეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:3 7:6 6:4; დმიტრი ტურსუნოვი (25, რუსეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:4 6:7 7:6 3:6 7:5; რაინერ შუტლერი (გერმანია) — სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) 6:3 6:2 6:4; ჯეიმს ბლეიკი (9, აშშ) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) 3:6 6:3 6:1 6:4; სტეფანო გალვანი (იტალია) — ჯეიმი ბეიკერი (ბრიტანეთი) 6:4 6:2 6:3; მიხაილ იუჟნი (17, რუსეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:1 6:4 6:0

## ქალები

### პირველი წრე

ვიქტორია აზარენკა (16, ბელარუსი) — ცვეტანა პირონკოვა (ჩეხეთი) 6:1 6:1; სორანა კირსტეა (რუმინეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:4 6:4; სიბილ ბამერი (26, ავსტრია) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 4:6 4:1 (უარი); შუაი პენგი (ჩინეთი) — ვიქტორია კუტუზოვა (უკრაინა) 6:3 6:4; ალა კუდრიავცევა (რუსეთი) — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:0 6:4; მარია შარაპოვა (3, რუსეთი) — სტეფანი ფორეზი (საფრანგეთი) 6:1 6:4; ვინუს უილიამსი (7, აშშ) — ნაომი კევედეი (ბრიტანეთი) 7:6 6:1; ვანია კინგი (აშშ) — ენ კეტავონგი (ბრიტანეთი) 4:6 6:2 6:3; მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპანეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1 6:1; სანია მირზა (32, ინდოეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 7:6 3:6 6:4; ფლავია პენეტა (22, იტალია) — იულია ვაკულენკო (უკრიანა) 6:3 6:4; აი სუგიამა (იაპონია) — იანინა ვიკმაიერი (ბელგია) 6:4 6:2; ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) — პეტრა ცეტკოვსკა (ჩეხეთი) 6:4 6:3; მარინა ერაკოვიჩი (ახალი ზელანდია) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 7:6 7:6; კაროლინ ვოზნიაკი (31, დანია) — ევა ჰრდინოვა (ჩეხეთი) 6:2 7:5; ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) — მარია კორიცევა (უკრიანა) 7:5 6:4; ფრანჩესკა შიავონე (20, იტალია) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 6:3 5:7 10:8; მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთი) — მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკეთი) 1:6 6:3 6:4; ჯულია ჯორჯესი (გერმანია) — კატარინა სრებოტნიკი (23, სლოვენია) 4:6 7:6 16:14; ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) — ციპორა ობზილერი (ისრაელი) 6:4 6:0; მარა სანტანჯელო (იტალია) — მარეტ ანი (ესტონეთი) 7:5 6:3; ლინდსი დევენპორტი (25, აშშ) — რენატა ვორაცოვა (ჩეხეთი) 6:3 5:7 6:3; გიზელა დულკო (არგენტინა) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 1:6 6:0 6:2; ტიმეა ბაჩინსკი (შვეიცარია) — ჯულია დიტი (აშშ) 7:5 6:3; შაჰარ პირი (24, ისრაელი) — კეტი ობრაიენი (ბრიტანეთი) 6:3 7:5; სუ-ვეი ჰსი (ტაივანი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:3 6:2; დინარა საფინა (9, რუსეთი) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 7:6 6:2; ნადია პეტროვა (21, რუსეთი) — ოლგა გოვორცოვა (ბელარუსი) 6:4 6:4; დანიელა ჰანტუხოვა (10, სლოვაკეთი) — სარა ერანი (იტალია) 7:6 6:4; ვერა ზვონარიოვა (13, რუსეთი) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:1 6:7 6:1; კარლა სუარეს ნავარო (ესპანეთი) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 6:2 6:4; ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) — ოლგა სავჩუკი 6:3 6:2; ემილი ლუა (საფრანგეთი) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 6:3 7:6



ენდი როდიკმა ტურნირი მოგებით დაიწყო

# ნალბანდიანს დავიდენკოც მიაყოლეს

## შარაპოვამ უიმბლდონს შორტები აჩვენა

**უიმბლდონმა** ხეირიანად გახურება ვერც მოასწრო და ლონდონიდან უკვე ორი ბობოლა დაიფრინეს. ეს უილბლოები ნიკოლაი დავიდენკო და დავიდ ნალბანდიანი არიან, რომლებიც, შესაბამისად მეოთხე და მეშვიდე ნომრებით იყვნენ განთესილნი.

ნალბანდიანიმა ჯერ კიდევ ორშაბათს მოსაღამოებულზე წააგო და ამიტომ ამაზე გუშინ ვერაფერი მოგახსენეთ — თუმც ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ და ერთი-ორი სიტყვის თქმას ნამდვილად იმსახურებს. არგენტინელის ცოდვა ფრენკ დანსევიჩმა იკისრა, რომელმაც უძლიერესი მოწოდებებით ტოპ-მეტოქეს გამოსავალი არ დაუტოვა. არადა, დავიდი ნამდვილად არ გეგმავდა ლონდონიდან ასე ნაადრევად აბარგებას, რადგანაც მომზადებაც კარგი გაიარა და თითქოს არც ტრავმა აწუხებდა. თუმც ხომ გაგიგიათ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

აი, დავიდენკოს გავარდნაში კი განსაკუთრებით მოულოდნელი არაფერი გახლავთ. ეს რუსი ხომ ბალახზე ყოველთვის უნიჭოდ თამაშობდა — უიმბლდონს მეშვიდედ ეწვია და აქედან მხოლოდ ორჯერ მოახერხა პირველი წრის გადალახვა, საუკეთესო შედეგი კი შარშან აჩვენა, როცა მეოთხე წრემდე მიჩანჩალდა. თუმც, რადგანაც წლეულს კოლია-ბატონმა უარი თქვა წინასატურნირო მზადებაზე და იმის მაგივრად, რომ ბალახს შეჩვეოდა, ვარშავაში თიხნარზე სათამაშოდ გაიქცა, გასაკვირი არაა, რომ მალევე დააჩოქეს. მართალია, რუსმა პოლონეთში იმარჯვა, მაგრამ მაინც აჯობებდა ახალი საფარი დაეჭაშნიკებინა და ეგებ ასე სამარცხვინოდ არ წაეგო — თვითონ რას ფიქრობდა ძნელი სათქმელია, მაგრამ მეჩოგნეთა უმეტესობას უიმბლდონის მაგვარ პრესტიჟულ ფორუმზე ერთი წრის გავლა უცილობლად ურჩევნია ვარშავის დონის მეორეხარისხოვანი ტურნირის მოგებას. ხოლო ის, რომ დავიდენკომ სამარცხვინოდ წააგო, ფაქტია — კლასით გაცილებით დაბალმა მეჩოგნე ბენჯამინ ბეკერმა ბალახზე თამაშის მასტერ-კლასი ჩაუტარა და სამ სეტში გადაუგბინა.

„მან კარგად ითამაშა, მე კი ძალიან ცუდად" — ლაპარაკის ხასიათზე არ იყო ნამატჩევს დავიდენკო.

სამაგიეროდ, დამაჯერებლად დაიწყო ბევრის მიერ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულმა რაფაელ ნადალმა. ესპანელს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია და ვერც იმას ვიტყვით მეტოქეს გადაუარაო, მაგრამ ნერვაუტოკებლად და საქმინად კი მოიგო — ზუსტად იმდენი ენერგია დახარჯა, რაც ანდრეას ბეკის დამარცხებას დასჭირდებოდა. გერმანელმა, რომელსაც დებიუტი ჰქონდა სლემტურნირებზე, მხოლოდ მესამე სეტში შეძლო ბოლომდე გაძლება და ტაიბრეიკამდე მიიყვანა საქმე, მაგრამ რაფამ აქ თავისი კლასი სრულყოფილად აჩვენა და მეტოქე ნულზე გაყინა.

მეორე წრეში ნადალს ერნესტ გულბისთან მოუწევს დატაკება, რომელიც თავის მხრივ აყლაყუდა ჯონ აისნერს მოერია. ლატვიელი იფიცება, კორტზე წაგებულის ფსიქოლოგიით გასვლას სულაც არ ვაპირებ და ესპანელს იოლად არაფერს დავუთმობო. შორს ვართ ვიფიქროთ, რომ ბალტიისპირელი შეძლებს ესპანელის გამწარებას, მაგრამ გვარიან თავსატეხს რომ გაუჩენს, ეჭვი არ გვეპარება — ამ ბიჭმა ხომ „როლან გაროსზე" ნოვაკ ჯოკოვიჩიც მაგრად აწვალა და საეჭვოა, ახლა დაყაროს ფარ-ხმალი იოლად.

სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთის კორტებზე სავარაუდოდ თავისი ბოლო მატჩი ჩაატარა იონას ბიორკმანმა — 34 წლის ვეტერანმა ტურნირის წინ გამოაცხადა, რომ ოქტომბერში ჩოგბურთიდან წასვლას გეგმავს. ეს შვედი ყოველთვის წყვილებში თამაშით უფრო გამოირჩეოდა და აკი კარიერაში ოთხი უიმბლდონური ტიტულიც მოაგროვა. ერთეულთა შორის კი საუკეთესო შედეგი შარშანწინ აჩვენა, როცა ნახევარფინალს უწია და იქ უკვე თავად ფედერერთან დამარცხდა. გუშინ კი ბიორკმანი არნო კლემანმა დაამარცხა და ფრანგმაც და ტრიბუნებმაც ტაშის გრიალით გააცილეს კორტიდან თავის მეთხუთმეტე უიმბლდონზე მოთამაშე ვიკინგი.

ქალთა შორის კი ყურადღება მოქმედ ჩემპიონ ვინუს უილიამსისკენ იყო მიპყრობილი. ჰოდა, უნდა ითქვას, რომ უფროსმა შავდამ დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგანაც ძალიან მძიმედ გამოიყურებოდა და ამის გამო ბლომად შეცდომებს უშვებდა. თანაც ამერიკელს არც მეტოქე ჰყავდა მაინდამაინც გამორჩეული — ეს თინეიჯერი მასპინძელი ნაომი კევედეი იყო, რომელიც სათამაშო ბადეშიც ვერ მოხვდებოდა ორგანიზაორთა მოწვევა რომ არა. ამის მიუხედავად, ბრიტანელი პირველ სეტში ეომა თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის ერთ-ერთ მონსტრს და დაწინაურებაც შეძლო, მაგრამ ტაიბრეიკზე ძალიან ანერვიულდა და რამდენიმე მარტივი შეცდომის გამო პარტია დათმო. აი, შემდეგ კი ვინუსიც ჩაირთო და კევედეი უშანსოდ დატოვა.

ადვილად დაძლია პირველი წრე მარია შარაპოვამ, რომელმაც საათზე ცოტა მეტი მოანდომა სტეფანი ფორეზის გასილაქებას. თუმც მთავარი ის იყო, რომ რუსი პრიმა, როგორც საჩოგბურთო მოდის კანონმდებელი, არ ჩამორჩა ამ კუთხით უკვე თავგამოჩენილ როჯერ ფედერერსა და სერენა უილიამსს — შვეიცარიელი, რომელიც ბოლო ორი წელი კორტზე კოსტიუმით გამოდიოდა ხოლმე, ორშაბათს ქათქათა ჯემპრით გამოცხადდა სათამაშოდ, ამერიკელმა კი საწვიმარი წამოისხა, აქაოდა მოღრუბლული ლონდონური ცისაც არ მეშინაო. ამდაგვარ სიახლეებზე კი შარაპოვას ლამის საავტორო უფლებები აქვს აღებული და ამიტომაც რუსისგან რაღაც განსაკუთრებულს ელოდნენ. მაშამაც ბრიტანელ (და არა მარტო) კალომსნებს იმედები არ გაუცრუა და გუშინ კორტზე შორტებით გამოცხადდა.

ისე, ასეთ რამეს ტურნირის ორგანიზატორები ჯერ კიდევ 3-4 წლის წინ ნაღდად არ დაუშვებდნენ, მაგრამ ბოლო წლებია უფრო ლოიალურები გახდნენ და მაშამაც არ დააყოვნა — კარგ თამაშთან ერთად პრესას სხვაც მისცა სალაყბოდ.

ასეა — დღესდღეობით ხომ თვითრეკლამა სპორტულ მიღწევებზე ძვირად ფასობს.

**ბაჩა ლომაშვილი**



მარია შარაპოვა



„შვეიცარიის ტურის“ პრიზიორები: მესამეადგილოსანი ესპანელი იგორ ანტონი, ჩეხი ჩემპიონი რომან კროიციგერი და მეორეადგილოსანი გერმანელი ანდრეას კლოდენი

# რომანი შვეიცარიაში

**22 წლის** ჩეხის, იტალიური „ლიქუიგასის“ მრბოლის რომან კროიციგერის გამარჯვებით დასრულდა რიგით 72-ე „შვეიცარიის ტური“.

კროიციგერი შვეიცარიული რბოლის 75-წლიან ისტორიაში პირველი ჩეხი გამარჯვებულია და ვერავინ იტყვის, რომ მისი წარმატება შემთხვევითობა იყო. გადამწყვეტი დარტყმა მეტოქეებს კროიციგერმა მერვე ეტაპზე, ინდივიდუალური რბოლისას მიაყენა. მანამდე, მე-7 ეტაპზე, რომელიც გრიუერიდან ლისამდე 171 კილომეტრზე იყო გაჭიმული, ყველას შვეიცარიელთა კერპმა, ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონმა ფაბიენ კანცელარამ აჯობა, საერთო ჩათვლის სათავეში კი ლუქსემბურგელი კიმ კარხენი დარჩა, ვისაც კროიციგერი 27 წამით ჩამორჩებოდა.

ინდივიდუალური ეტაპი 25 კილომეტრიანი იყო და ამ 25 კილომეტრზე კროიციგერმა კირხენს 3 წუთი და 25 წამი მოუგო. ალტდოლფიდან დიუ კლაუზენის მთამდე ჩეხმა ერთ საათსა და 22 წამში უწია და უახლოეს კონკურენტებს, ვენესუელელ ხოსე რუხანოსა და გერმანელ ანდრეას კლოდენს, შესაბამისად, 16 და 17 წამით აჯობა. მეოთხეზე, კროიციგერთან 54-წამიანი ჩამორჩენით, იტალიელი დამიანო კუნეგო გავიდა, ვინც თავიდან შვეიცარიული რბოლის მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მეოთხე ადგილს დასჯერდა.

ბოლო, მე-9 ეტაპზე, რომელიც ალტდოლფიდან ბერნამდე 168 კილომეტრს მოიცავდა, ისევ კანცელარამ იმარჯვა, თუმც ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — კროიციგერი მეორე ადგილზე მყოფ კლოდენს ამ დროისთვის 49 წამს უგებდა და სხვაობა აღარც შეცვლილა. მესამეზე ესპანელი იგორ ანტონი გავიდა, ვინც რბოლის პირველ ნახევარში ლიდერიც კი იყო. კუნეგო, როგორც ვთქვით, მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა, ხოლო კირხენი მხოლოდ მეშვიდე იყო.

## შვეიცარიის ტურის ჩემპიონები 1971 წლიდან

1971 ჟორჟ პინტენი (საფრანგეთი)
1972 ლუის პფენინგერი (შვეიცარია)
1973 ხოსე მანუელ ფუენტე (ესპანეთი)
1974 ედი მერქსი (ბელგია)
1975 როჯერ დე ვლემინკი (ბელგია)
1976 ჰენი კუიპერი (ავსტრია)
1977 მიშელ პოლენტიე (საფრანგეთი)
1978 პოლ ველენსი (საფრანგეთი)
1979 ვილფრიდ ვესემელი (საფრანგეთი)
1980 მარიო ბეჩია (იტალია)
1981 ბეატ ბრეუ (შვეიცარია)
1982 ჯუზეპე სარონი (იტალია)
1983 შონ კელი (ირლანდია)
1984 ურს ციმერმანი (შვეიცარია)
1985 ფილ ანდერსონი (ავსტრალია)
1986 ენდი ჰემპსტენი (აშშ)
1987 ენდი ჰემპსტენი (აშშ)
1988 ჰულმუტ ვესელბერგერი (ავსტრია)
1989 ბეატ ბრეუ (შვეიცარია)
1990 შონ კელი (ირლანდია)
1991 ლუკ როზენი (საფრანგეთი)
1992 ჯორჯო ფურლანი (იტალია)
1993 მარკო სალიგარი (იტალია)
1994 პასკალ რიშარი (შვეიცარია)
1995 პაველ ტონკოვი (რუსეთი)
1996 პეტერ ლუტენბერგერი (ავსტრია)
1997 კრისტოფ აგნოლუტო (საფრანგეთი)
1998 სტეფანო გარძელი (იტალია)
1999 ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია)
2000 ოსკარ კამენცინდი (შვეიცარია)
2001 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2002 ალექს ცულე (შვეიცარია)
2003 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი)
2004 იან ულრიხი (გერმანია)
2005 აიტორ გონსალესი (ესპანეთი)
2006 იან ულრიხი (გერმანია)
2007 ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი)
2008 რომან კროიციგერი (ჩეხეთი)

# კუნეგომ პირველობა დაიბრუნა

**პრო-ტურის** სერიაში შემავალი „შვეიცარიის ტურის“ დასრულების შემდეგ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა და კლასიფიკაციის სათავეში კვლავაც იტალიელ დამიანო კუნეგოს ვხედავთ, რომელმაც ერთი კვირის წინ, ფრანგული „დოფინი ლიბერეს“ დასრულების შემდეგ დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა.

„დოფინი ლიბერეს“ შემდეგ რეიტინგის თავში სერიის შარშანდელი და შარშანწინდელი გამარჯვებულები, ავსტრალიელი კედელ ევანსი და ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე იყვნენ, თუმც ახლა მათ სამ-სამი საფეხურით დაბლა დაიწიეს — კუნეგოს გარდა ავსტრალიელსა და ესპანელს გერმანელმა ანდრეას კლოდენმა და ჩეხმა რომან კროიციგერმაც გადაასწრეს, რომლებმაც შვეიცარიაში, შესაბამისად, მეორე და პირველი ადგილები დაიკავეს.

ტოპ-ოცეულში ორი ახალი სახეა, „შვეიცარიის ტურის“ კიდევ ორი თავგამოჩენილი მრბოლი, ლუქსემბურგელი კიმ კირხენი და ესპანელი იგორ ანტონი, რომლებმაც ოცეულიდან იტალიელი მარკო პინოტი და ლუქსემბურგელი ფრენკ შლეკი გააძევეს.

მოწინავეთა შორის ყველაზე ბევრნი, ისევ ესპანელები არიან — ოციდან რვა ადგილი მათია. გერმანელები და ბელგიელები ორ-ორი მრბოლით იწონებენ თავს, ხოლო იტალია, ჩეხეთი, ავსტრალია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, აშშ, კოლუმბია და საფრანგეთი თითო კაცით არიან წარმოდგენილნი.

გუნდებს რაც შეეხება, ტოპ-ოცეულში სამ-სამი მრბოლი ჰყავთ ყაზახურ-ლუქსემბურგულ „ასტანას“, ესპანურ „კაის დეპარნსა“ და „ეუსკალტელს“ და ჰოლანდიურ „რაბობანკს“; ამერიკული „ჰაი როადი“ ორი კაცით არის წარმოდგენილი, ხოლო კიდევ ექვსი გუნდი თითო მრბოლით იწონებს თავს.

## პრო-ტურის რეიტინგი

### მრბოლები

| | |
|---|---|
| 1. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | 104 |
| 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“) | 96 |
| 3. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, „ლიქუიგასი“) | 94 |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“) | 85 |
| 5. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | 83 |
| 6. ანდრე გრეიპელი (გერმანია, „ჰაი როადი“) | 62 |
| 7. მიგელ ასტარლოა (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | 60 |
| 8. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | 58 |
| 9. ტომას დეკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი“) | 54 |
| 10. სტიინ დევოლდერი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) | 50 |
| 11. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) | 47 |
| 12. ხოსე ხოაკინ ხილი (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | 45 |
| 13. აიმარ სუბელდია (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | 45 |
| 14. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „ჰაი როადი“) | 42 |
| 15. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „ასტანა“) | 41 |
| 16. რიგობერტო ურანი (კოლუმბია, „კაის დეპარნი“) | 40 |
| 17. ნიკ ნუიენსი (ბელგია, „კოფიდისი“) | 40 |
| 18. იგორ ანტონი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | 38 |
| 19. რემი პაუროლი (საფრანგეთი, „კრედიტ აგრიკოლი“) | 36 |
| 20. ხუან ანტონიო ფლეშა (ესპანეთი, „რაბობანკი“) | 35 |

გუნდები: 1. ასტანა (ყაზახეთ-ლუქსემბურგი) 145 ქულა; 2. კაის დეპარნი (ესპანეთი) 127; 3. CSC (დანია) 126; 4. სონი დიუვალი (ესპანეთი) 109; 5. ლოტო (ბელგია) 108; 6. რაბობანკი (ჰოლანდია) 105; 7. გეროლშტაინერი (გერმანია) 102; 8. ფრასაიზ დე ჟუ (საფრანგეთი) 102; 9. ეუსკალტელი (ესპანეთი) 95; 10. ჰაი როადი (აშშ) 95

ქვეყნები: 1. ესპანეთი 293 ქულა; 2. იტალია 209; 3. გერმანია 198; 4. ბელგია 155; 5. საფრანგეთი 147; 6. ავსტრალია 113; 7. ჩეხეთი 94; 8. ლუქსემბურგი 94; 9. ჰოლანდია 90; 10. აშშ 71



დამიანო კუნეგო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge